სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 11 თებერვალი 2004 №29 (2048) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ზედ ზიშოვეცი მოაფრიალებს?

„ჟორდანიას სამი კანდიდატი ჰყავს შეგულებული, ფრანგი, ინგლისელი და უკრაინელი“ — თითქოს რომელიღაც ზღაპრიდან მოტანილი ეს სიტყვები, ძალიან რომ ჰგავს „დედას სამი შვილი ჰყავდა“-ს, გუშინდელი „სარბიელის“ პირველი გვერდიდანაა. დღევანდელი „სარბიელის“ პირველ გვერდზე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესკონფერენციის, ან სულაც სამი კანდიდატიდან ერთის არჩევის და გამოცხადების ამბავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პრეზიდენტმა პრესკონფერენცია სამი დღით (!) გადადო. შესაბამისად, ხელთ შეგვრჩა მერაბ ჟორდანიას იდუმალი ვოიაჟი განათლებული ევროპის ორ უდიდეს ცენტრში, პარიზსა და ლონდონში და ბინდით მოცული „ფრანგი, ინგლისელი და უკრაინელი“. ბუნებრივია, ამ რებუსში პარიზი და ფრანგი კანდიდატი, ისევე, როგორც ლონდონი და ინგლისელი კანდიდატი, ძალიან მარტივად და ლოგიკურად ებმოდა ერთმანეთს, უკრაინელი კი კონტექსტიდან ამოვარდნილი და... რაღა დაგიმალოთ, ყველაზე რეალური ჩანდა — საბჭოთა ძმობა და მენტალიტეტი ხომ ჯერ კიდევ დიდხანს იზამს თავისას.

გუშინდელი რეკვა-რკვევით კი შევიტყვეთ, ვინ ფრანგზე, ინგლისელზე და უკრაინელზე იყო ლაპარაკი და შედეგი ასეთი მივიღეთ: ფრანგი ალენ ჟირესი გამოდგა, წარსულში დიდი ფეხბურთელი და ანმყოში არცთუ დიდი მწვრთნელი, ინგლისელი — არავინ, ან ძალიან ბუნდოვანი ვინმე, რომელზე შეჩერება არც ღირს და უკრაინელი — ანატოლი ბიშოვეცი, წარსულში უტექნიკურესი მოთამაშე, ხოლო როგორც საბჭოთა კავშირისა და დსთ-ს ნაკრების მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის მონაწილე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არავინს, ჟირესსა და ბიშოვეცს შორის რეალური მესამეა.

გადაწყვეტილი ამბავია: დღეს კახა კალაძე ითამაშებს. რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „მილანს“ „ლაციოსთან“ იტალიის თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი ელის, კალაძეც, ჩვეულებისამებრ, დაცვის მარცხენა ფლანგზე დადგება.

გუშინ გამართულ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე კარლო ანჩელოტიმ მხოლოდ იმ ოთხი ფეხბურთელის ვინაობა გაამხილა, რომლებიც თავიდანვე იქნებიან ძირითადში — ჩვენებურთან ერთად მინდორზე აბიატი, შიმიჩი და ინძაგი გავლენ, სრულ შემადგენლობას კი ზედ მატჩის დაწყებამდე გამოვაცხადებო, უთქვამს ანჩელოტის.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრების მცველი საქმეს უბრუნდება და გუშინვე რომში შევეხმიანეთ...



ანჩელოტიმ კალაძე დაასახელა, კალაძემ ჩეზარე მალდინი

— მოსალოცი ამბავია, როგორც იქნა, ითამაშებ...

— ჰო, ალბათ. ზუსტად არ ვიცი.

— ანჩელოტიმ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ შენ სასტარტოში იქნები...

— მადლობა მწვრთნელს ნდობისთვის. ყველანაირად ვეცდები, გავამართლო.

— „ლაციოსთან“ პირველი თამაში შინ, „სან სიროზე“ წააგეთ. ალბათ, ახლა განწყობა საბრძოლოა...

— რა თქმა უნდა, ვფიქრობ, სერიოზულად მოვემზადეთ, როგორც ყოველთვის ხდება-ხოლმე. დაკარგული ჯერ არაფერია და მაქსიმუმს გავიღებთ. „ლაციო“ არაა ის გუნდი, პირველი თამაშის შედეგიდან გამომდინარე უკან ჩაჯდეს და ასე ითამაშოს. იციან, რომ არაფერს დავუთმობთ და არც იმას გამოვრიცხავ, რომ მოვიგოთ. მოკლედ, არ ვიცი, ზუსტად რა შემადგენლობით ვითამაშებთ, მაგრამ რომში სტატისტად არ ჩამოვსულვართ.

— საქართველოს ნაკრები რომ კვლავაც უმწვრთნელოდაა, ცხადია, იცი.

— ვიცი და, რაღა ვთქვა?! რატომ გახდა ასეთი დიდი პრობლემა ეს მწვრთნელის დანიშვნა. მესმის, რომ სერიოზული, მაღალი დონის სპეციალისტის მოსაწვევად თანხებია საჭირო. ფედერაციასაც უჭირს და მთლიანად ქვეყანასაც, ჰაერზე ფული არ მოვა, მაგრამ ხომ გვყავს ბიზნესმენები, რომელთაც ძალიან უყვართ ფეხბურთი? ეგებ, ფეხბურთისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა მაინც გადაადგმევინოთ ეს ნაბიჯი და დაგვეხმარონ.

— ანრი მიშელის კანდიდატურაც საბოლოოდ გამოირიცხა...

— იცით, რამდენია სერიოზული, მაღალი დონის სპეციალისტი? მარტო იტალიელების დასახელებაც კმარა, მაგრამ ისევ იმ პარადოქსამდე მივდივართ, რასაც ფული ჰქვია.

— ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ხარ. შენ, მაგალითად, ვის ისურვებდი მწვრთნელად?

— გამიჭირდება არჩევანის გაკეთება, მაგრამ უფრო ჩეზარე მალდინის. ჯერ ერთი, მართლაც სერიოზული, უმაღლესი დონის სპეციალისტია. საუკეთესო რეპუტაციაა აქვს, იცის საქმეც და ფეხბურთელებთან ურთიერთობაც. იტალიის ნაკრებს რომ თავი დავანებოთ, პარაგვაის ნაკრებიც ხომ მშვენივრად ათამაშა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე? და მეორე, მასთან მიმუშავია და ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ვიცი მისი შესაძლებლობები.

— ნაკრები სადაცაა კვიპროსის ტურნირზე წავა. ფედერაციისგან მიწვევა შენც მიიღე...

— მივიღე, მაგრამ კვიპროს ზე მე არ ჩავალ. ფედერაციის ხელმძღვანელობას ამის თაობაზე უკვე ველაპარაკე და შევთანხმდით, ერთი თამაშის გულისთვის ჩასვლას აზრი არ აქვს. ეს ასე დავასაბუთე: ნაკრები უმწვრთნელოდაა, სასურველი ფორმისგან ჯერ შორს ვარ, „მილანსაც“ გადატვირთული კალენდარი აქვს.

ზიორგი ვაზაკიძე

საქართველოს ნაკრებს ანატოლი ბიშოვეცი კვიპროსზე დახვდება

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ოფიციალური წინადადება არ მიმიღია, ოფიციალურად ჩემთვის არავის შემოუთავაზებია საქართველოს ნაკრებში მუშაობა — გვითხრა გუშინ ანატოლი ბიშოვეცმა, რომელიც საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად შეგიძლიათ ჩათვალოთ.

— არაოფიციალურად?

„სარბიელის“ კითხვაზე პასუხამდე ბიშოვეცი შეყოვნდა, თითქოს ენაც დაებაო...

— ვერ უარვყოფ, იყო და არის ლაპარაკი, რომ საქართველოს ნაკრები ჩავიბარო, თუმც, ვიმეორებ, ოფიციალური წინადადება არავისგან მიმიღია, არაოფიციალური საუბრის კომენტარს კი ვერ გავაკეთებ.

ანატოლი ბიშოვეცი ამჟამად კვიპროსზეა, ის კუნძულზე კვირას ჩავიდა და 18-მდე იქ დარჩება. მან იცის, რომ 15 თებერვალს საქართველოს ნაკრები კვიპროსზე მიფრინავს. ისიც იცის, რომ საქართველოს ნაკრებს კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე პირველი მატჩი, რუმინეთთან, სწორედ 18 თებერვალს აქვს.

— კვიპროსზე ემზადება თბილისის „დინამოც, სადაც საქართველოს ნაკრების რამდენიმე კანდიდატი თამაშობს. შემთხვევით დინამოელთა თამაშს ან ვარჯიშს ხომ არ დასწრებიხართ?

— არა, თბილისის „დინამოსგან“ მოშორებით ვცხოვრობ, თუმც ვიცი, რომ თბილისელები კვიპროსზე არიან და ემზადებიან, 15-ში კი აქ საქართველოს ნაკრებიც ჩამოვა.

ანატოლი ბიშოვეცი რომ ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატია, მეტიც, მისი დანიშვნა რომ დროის ამბავია, გუშინ შევიტყვეთ. მანამდე კი, გუშინწინ, როცა ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია უცხოეთიდან დაბრუნდა, გავიგეთ, ნაკრების თავკაცის სკამს სამი პრეტენდენტი ჰყავდა — ინგლისელი, ფრანგი და უკრაინელი.

გუშინ კი დავაზუსტეთ: ინგლისელი არავინ ყოფილა, უფრო სწორად კი ყოფილა, მაგრამ სალაპარაკოდ რომ არ ღირს, ისეთი. ფრანგი ალენ ჟირესია, რომლის ნაკრებში დანიშვნაც, ფაქტობრივად, გამორიცხულია. უკრაინელი კი, აგერ ბატონო, ანატოლი ბიშოვეცი...

ანატოლი ბიშოვეცი 57 წლისაა, პოსტსაბჭოურ სივრცეში საკმაოდ გამოცდილ, ტიტულოვან და საქმის მცოდნე სპეციალისტად ითვლება. იყო 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების მომგები საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე დაშლილი საბჭოეთის ქვეყნებიდან საუკეთესო ფეხბურთელების შემრჩევი და გერმანიაში ესენგეს სახელით მოთამაშე გუნდის თავკაცი.

საფეხბურთო სამყაროში ბიშოვეცზე ასე ამბობენ: კომუნიკაბელურია, მაგრამ ძალიან პრინციპულიც, დისციპლინა მისთვის უმთავრესია, რასაც ზოგჯერ კონფლიქტურ სიტუაციებამდე მიჰყავს. 1998 წელს, როცა ბიშოვეცი რუსეთის ნაკრების თავკაცი იყო, მას თითქმის ნახევარი გუნდი აუჯანყდა, ისინი მწვრთნელად ოლეგ რომანცევის დანიშვნას ითხოვდნენ. საბოლოოდ, კონფლიქტი ფეხბურთელთა სასარგებლოდ დამთავრდა, თუმც მოგვიანებით, აი, რა გაირკვა: ბიშოვეცი ნაკრების თავკაცად რუსეთის მთავრობის მაღალჩინოსნების პროტექციით დაინიშნა და მან, უფრო სწორად, მთავრობამ, რომანცევს, ფაქტობრივად, გამზადებული სანაკრებო სკამი წაართვა. იმ პერიოდში კი ნაკრების ბირთვს „სპარტაკში“ რომანცევის სამწყსო წარმოადგენდა. ჰოდა, რომანცევმაც, რომელმაც ვერ მოინელა ნაკრებში ბიშოვეცის დანიშვნა, ფეხბურთელები ააბუნტა. მოთამაშეები ამბობდნენ, ბიშოვეცის ნაკრებში თამაში არ გვსურსო, თანაც „სპარტაკს“ გადატვირთული კალენდარი ჰქონდა და რომანცევს შეგირდების ნაკრებში გაშვება ამიტომაც არ ეპიტნავებოდა. ნაკრებში ბუნტს რუსეთში სამთავრობო კრიზისიც დაემთხვა, თითქმის ყველა მაღალჩინოსანი გაათავისუფლეს, ბიშოვეცის გუნდს ფატალურად არ უმართლებდა, რამდენიმე სენსაციური მარცხი ერთმანეთს მიჰყვა და კოლოსკოვიც იძულებული გახდა, ბიშოვეცი რომანცევით შეეცვალა.

ჩვენი ნაკრების შესაძლო მწვრთნელმა კი გუდა-ნაბადი აიკრა და ჯერ სამშობლოს, უკრაინას მიაშურა, სადაც „შახტარი“ ჩაიბარა, იქიდან კი პორტუგალიაში წავიდა.

დღეს ანატოლი ბიშოვეცი მოსკოვის ახლოს, ხიმკიში ცხოვრობს და ამავე სახელწოდების კლუბის ვიცე-პრეზიდენტი და მწვრთნელის კონსულტანტია.

— დღეს ან ხვალ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ოფიციალური წინადადებით რომ მოგმართონ, დათანხმდებით ჩვენი ნაკრების მწვრთნელობას?

— ვერაფერს გეტყვით. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად დრო და ფიქრია საჭირო. უნდა ვიცოდე, ჩემგან რას ელიან და მე რას ველოდო.

— წინააღმდეგი ხართ, საქართველოს ნაკრები ჩაიბაროთ?

ბიშოვეცი პასუხამდე ისევ შეყოვნდა, ასე იყო ყველა კითხვის შემდეგ, ვიდრე ზოგადად ქართულ ფეხბურთზე არ ჩამოვაგდეთ სიტყვა. აი, მაშინ კი, იცოცხლეთ, ტყვიასავით მოგვაყარა, თუმც იქამდე...

— წინააღმდეგი ვარ თუ თანახმა, ახლა როგორ გითხრათ, როცა ოფიციალური წინადადება არ მიმიღია?

— და მაინც?

— საქართველოს ნაკრების უკან ქართველი ხალხი დგას. ვიცი ქართული ტემპერამენტი, ვიცი, რომ ქართველი ქომაგი ძალიან მომთხოვნია, ლამაზი ფეხბურთის დამფასებელი.

— მომთხოვნი ხომ ყველა გუნდის ქომაგია?

— მოდით, მოვლენებს ნუ დავასწრებთ, ნუ ავჩქარდებით...

— გავიგეთ, სამეგობროში გითქვამთ, საქართველოს ნაკრებს იმ შემთხვევაში ჩავიბარებ, თუ ფედერაციას და გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურთო...

— ძალიან კარგი, სხვაგვარად როგორ უნდა იყოს... სამუშაოდ სადაც მივდივარ, ჩემი მიზანი ყოველთვის მაქსიმალურია, ვითხოვ, რომ ჩემს სამსახურში ერთსულოვნება იყოს.

— ზოგადად ქართულ ფეხბურთზე რას იტყვით?

— შოთა იამანიძით დაწყებული, გელა კეტაშვილით დამთავრებული, შემიძლია, 10 და მეტი ქართველი ფეხბურთელი ჩამოგითვალოთ, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ბრაზილიის, ესპანეთის, იტალიის საუკეთესო გუნდებს. საქართველოს ყოველთვის შეეძლო ყველაზე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა, რისი დასტურიც „დინამოს“ მიერ მოგებული თასების თასია. ყოველთვის ვაფასებდი და ვაფასებ ქართველ ფეხბურთელებს.

აი, ასეთი ამბები. რას ამბობს ანატოლი ბიშოვეცი, აგერ, უკვე წაიკითხეთ.

რას იტყვით თქვენ? ბიშოვეცმა, ხომ საგანგებოდ, ხაზგასმით ახსენა ქართველი ქომაგი.

საქართველოს ნაკრების შესაძლო მწვრთნელობაზე საუბარი, შთაბეჭდილება დაგვრჩა, ანატოლი ბიშოვეცისთვის უცხო სულაც არ იყო. ვნახოთ, რას გადაწყვეტს ფეხბურთის ფედერაცია. მერაბ ჟორდანია პრესკონფერენციას, რომელიც გუშინ იყო დაგეგმილი, პარასკევს გამართავს.

კოტა ინასარიძე

სულ ერ ჰგავდა ამხანაგურს

კვიპროს ზღვა ტყეფა თბილისს „დინამომ“ მესამე ამხანაგური მატჩი გამართა და ორი ფრის შემდეგ სერბულ „სარტიდთან“ 1:3 წაგო. ივო შუშაკმა ამჯერადაც ორივე ტაიმში სხვადასხვა შემადგენლობა ათამაშა. პირველ ნახევარში მოედანზე გავიდნენ გვარამაძე, წერეთელი, შაშიაშვილი, კანდელაკი, კარლოსი, კვირველია, გოგობერიშვილი, ნემსაძე, ანჩაბაძე, მელქაძე, ახალაია. მეორეში ამათგან მხოლოდ შაშიაშვილმა და ახალაიამ ითამაშეს, დანარჩენები კი შეცვალეს მამალაძემ, ექონიამ, კაშიამ, ჩიტაიამ, სახვაძემ, ხმალაძემ, ჯეფერსონმა, ომერომ, იაშვილმა.

სერბები 25-ე და 27-ე წუთებზე გატანილი გოლებით დაწინაურდნენ. დინამოელთაგან ყველაზე რეალური მომენტები ახალაიას ჰქონდა — ის ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ტაიმის 47-ე წუთზე „დინამომ“ ბრაზილიური გოლი გაიტანა. ჯეფერსონმა ჯარიმისას ომეროს დაუგორა ბურთი და 30 მეტრიდან გასროლილი ცხრიანში შევარდა. ერთ ეპიზოდში მსუბუქად დაშავდა ხმალაძე, რომელიც კვირკველიამ შეცვალა. 78-ე წუთზე ახალაია „სარტიდის“ ფეხბურთელთან წაკინკლავდა და მსაჯმა ორივე გააძევა. სერბებმა გაძევებული ახლით შეცვალეს, დინამოელებმა კი ვეღარ და 5 წუთი კაცნაკლული ითამაშეს. ამასობაში სერბებმა მესამეც გაიტანეს და არბიტრმა ახალაიას მოედანზე დაბრუნების უფლება მისცა.

ივო შუშაკი: „ჩემს გუნდს ხუთი თვეა, არ წაუგია. სხვა შეხვედრებთან შედარებით დღეს შეცდომები მეტი იყო და წაგების ერთი მთავარი მიზეზიც ესაა. მინდა, ხაზი გავუსვა ერთ გარემოებასაც: დღევანდელი მარცხი დაემთხვა დატვირთვების პიკს. თამაში კი საკმაოდ ხარისხიანი გამოდგა და სულ არ ჰგავდა ამხანაგურს“.

„დინამო“ მომდევნო მატჩს 14 თებერვალს იაროსლავლის „შინიკთან“ გამართავს, 15 თებერვლიდან კი დინამოელთა ერთი ნაწილი ეროვნულ ნაკრებს შეუერთდება.

დავით ერაძე

ფოტლანდია

პრემიერლიგა. XXIII ტური

დანდი იუნ. 0:0 ჰიბერნიანი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი

ჰამილტონი 0:1 სტენჰაუზმური

თურქეთი

თასის 1/4 ფინალი

გენჩლერი 2:0 დენიზლი

საფრანგეთი

თასის 1/8 ფინალი

ბრივი 1:0 ოსერი

პსჟ 2:0 ბაიონი

ინგლისი

პრემიერლიგა. XXV ტური

არსენალი 2:0 საუთჰემპტონი

ლიდსი 4:1 ვულვერჰემპტონი

ლესტერი 1:1 ბოლტონი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი

ლუტონი 2:0 ბრაიტონი

III დივიზიონი
გადადებული მატჩი

კიდერმინსტერი 0:0 ჩელტენჰემი

გამოვიდეთ ხალხში: გამოვიდეთ კარიდან

საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე აკაკი დევაძე ფეხბურთს დაუბრუნდა. გაჭაღარავებული და დადინჯებული, ახალგაზრდა ბიჭივით მონდომებული „დევა“ ახლა თბილისურ „სპარტაკს“ ეხმარება თავისი დიდი გამოცდილებით. 32 წლის მეკარე ფეხბურთიდან ორი წლის წინ წავიდა, მაგრამ გულმა ისევ მოედნისკენ უხმო და... დღეს დევაძე ისევ კარში დგას

ვერ არის კარგი ისტორია, მეკარეს ასწავლის ისტორია

— „მერანის“ დაშლის შემდეგ არსად გამოჩენილხარ. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და ახლა უცებ „სპარტაკში“ ამოჩნდი...

— „მერანიდან“ წასვლის შემდეგ საფეხბურთო კლუბ „ყაზბეგში“ დავიწყე მუშაობა მეკარეების მწვრთნელად. თან იმ პერიოდში ოლიმპიური მომზადების ცენტრში სამეკარეო სკოლაც შევქმენით და პარალელურად იქაც ვავარჯიშებდი ბავშვებს.

— კარიერის დასრულება საბოლოოდ გქონდა გადაწყვეტილი?

— დიახ, კარიერის გაგრძელებაზე არც ვფიქრობდი...

— მაგრამ...

— შარშან რეგიონული ლიგის მეორე წრე ახალდაწყებული იყო, „ყაზბეგს“ ძირითადი მეკარე რომ დაემტვრა. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, კარში ჩავმდგარიყავი. სხვა გზა არ ჩანდა. კლუბის ხელმძღვანელობამ მთხოვა, მეც საკუთარ თავს შევატყვე, რომ კიდევ შემეძლო თამაში. წონაშიც დავიკელი, ჯანზეც მოვედი და რეგიონალლიგაში 9 ტური ვითამაშე.

— მადაც მოგივიდა...

— რა თქმა უნდა. როცა გრძნობ, რომ თამაში შეგიძლია, ასე ხდება. მაგრამ ყველაფერი „ყაზბეგის“ ხელმძღვანელ სოსო ჯულელის დამსახურება უფროა. შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთში ამ კაცმა დამაბრუნა. თან თამაშებიც კარგად წამივიდა და ფეხბურთელსაც მეტი რა უნდა.

— ხომ არ ფიქრობ, რომ შენი ორიწლისწინანდელი გადაწყვეტილება ნაადრევი იყო?

— მგონი, კი. ამ ჩემპიონატს რომ ვუყურებ, შეუძლებელი არაფერია. ამ დონეზე თამაშს თავისუფლად შევძლებ.

— და ახლა „სპარტაკში“ ხარ...

— ძალიან მინდა, ამ გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენაში დავეხმარო. აქ პერსპექტიული ბიჭები არიან და მეც ჩემი გამოცდილებით რაღაც წვლილს შევიტან გუნდის წარმატებაში. მერე კი ვნახოთ...

— თუმცა „სპარტაკამდე“ „მცხეთაში“ მიხვედი...

— ეს ჩემი სურვილით მოხდა. „მცხეთაში“ სავარჯიშოდ მივედი და თუ მწვრთნელებს მოვეწონებოდი, დავრჩებოდი კიდეც, მაგრამ მერე იქ სიტუაცია აირია. თან „სპარტაკიდან“ ნოდარ აკობია შემეხმიანა და დავთანხმდი. მურთაზ ხურცილავასაც ხომ დიდი ხანია, ვიცნობ, წლების წინ „შევარდენშიც“ ერთად ვიყავით. ასე რომ, უცხო გარემოში არ მოვხვედრილვარ.

— სამეკარეო სკოლიდანაც წამოხვედი?

— არა, კონსულტანტი ვიქნები. ახლა იქ სამუშაოდ დრო ნაკლებად მაქვს, ბავშვებს სოსო ყარყარაშვილი ავარჯიშებს. მე კი, როცა დრო მაქვს, მივდივარ და ვეხმარები.

— უდავოა, აკაკი დევაძემ ვერ ითამაშა ისეთი ფეხბურთი, როგორიც შეეძლო. სად, რაში შეცდი?

— შეცდომა ბევრი მქონდა, მაგრამ ეს უფრო ცხოვრებისეული იყო. წარმატებებსაც მალე მივაღწიე, საკმაოდ ახალგაზრდამ რუსეთის უმაღლეს ლიგაში, საქართველოს ნაკრებში ვითამაშე... ალბათ, თავში ამივარდა. ქართველებისთვის ხომ ეს პირველი მტერია. რაღაცას მივაღწიე და თავი ვარსკვლავი მეგონა. ახლა კი ვნანობ, მაგრამ რაღა დროსია...

— საქართველოს ნაკრებში რამდენიმე მართლაც გამორჩეული მატჩი გითამაშია. რომელი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?

— რა ვიცი, ალბათ გერმანიასთან ორივე მატჩი. ასეთი დონის გუნდთან მანამდე არასოდეს მეთამაშა. წარმოიდგინე, კლინსმანი, კოლერი, მიოლერი... ასეთი ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაში იოლი ნაღდად არაა. მაშინ მართლა კმაყოფილი ვიყავი ჩემი თავით. ეს მატჩები უფრო იმიტომ გამოვარჩიე, რომ ჩვენი მეტოქე გერმანია იყო. ისე კი, უელსთან თბილისური 5:0 არასოდეს დამავიწყდება. მგონი, ეს ყველაზე საუკეთესო მატჩი იყო საქართველოს ნაკრებისთვის. მაშინ მაგრად გავიხარეთ.

— მას შემდეგ ნაკრები უკან-უკან მიდის. მიზეზებს რაში ხედავ?

— ყველაფრის თავიდათავი ბავშვთა ფეხბურთია, რაც საქართველოში არავის აინტერესებს. აღარ იზრდებიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებზეც იმედს დაამყარებ. მოედნები, ინვენტარი, კვება... ასეთ პირობებში რა პერსპექტივაზეა ლაპარაკი? ყველას არა აქვს ბავშვისთვის ბუცის ყიდვის საშუალება და ამიტომ ის ბავშვები იჩაგრებიან, ფსიქოლოგიურად ითრგუნებიან და ამით ჩვენი ფეხბურთი ზარალდება.

— ნაკრებისთვის მაინც ყველაზე სუსტ წერტილად სულ მეკარე ითვლებოდა...

— ისევ ბავშვთა ფეხბურთს მივადექით. ჩემთან, სამეკარეო სკოლაში, ისეთი უკვე შელერებული ბიჭები მოდიან, ელემენტარული რამ არ იციან. გაოცებული ვარ, ვეკითხები, ვისთან ვარჯიშობდი-მეთქი და ხან ვის მისახელებენ, ხან ვის. ასე არ შეიძლება, ისტორიის და ფიზიკის მასწავლებელი მეკარეს როგორ უნდა ზრდიდეს?!

— გამოსავალი?

— საქართველოში სამეკარეო სკოლა არ არსებობს. მეკარე გამოსვლაზე თამაშს რომ 19 წლის ასაკში ისწავლის, ის რა მეკარე იქნება?! ბავშვობიდან თუ არ ისწავლა, როდის რა გააკეთოს, ხაზზე როგორ ითამაშოს, გამოსვლისას როდის რა ქნას, მერე რაღა დროსია?

— სჭირდება თუ არა საქართველოს ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი?

— აუცილებლად. უცხოელი მწვრთნელი ჩვენთვის წამალია. ქართველები ხომ სხვანაირები ვართ, „შინაურ“ ხალხად ვითვლებით. უცხოელს კი ეს არ აინტერესებს. ყველას ერთი თვალით შეხედავს და მისთვის სულერთი იქნება, ვთქვათ, ლომაია ჩადგება კარში თუ დევაძე. დანარჩენ პლუსებზე აღარაფერს ვიტყვი.

— რომელი ქვეყნის სამეკარეო სკოლა მიგაჩნია მსოფლიოში საუკეთესოდ?

— რუსეთის. რუსები პირველები არიან. ცხადია, ესპანეთი და იტალიაც გამოირჩევიან, მაგრამ რუსეთს მაინც საუკეთესოდ ვთვლი.

— შენი მისაბაძი მეკარე ვინ არის?

— რინატ დასაევი. ამ მეკარის თამაშს რომ ვუყურებდი, ვგრძნობდი, რომ უნაკლო იყო. რუსებს მერეც მრავლად ჰყავდათ მაგარი მეკარეები. დღევანდელი მაგალითი აიღე: პრემიერლიგის თითქმის ყველა გუნდს ძალიან ძლიერი მეკარე ჰყავს.

— როდემდე აპირებ თამაშს?

— ხალხი 40 წლამდე თამაშობს ფეხბურთს და... რა ვიცი, ჯანმრთელობამ ხელი თუ შემიწყო, ალბათ სამი-ოთხი წელი კიდევ ვითამაშებ. ჯერ მხოლოდ 32 წლის ვარ. ვნახოთ, მთავარია, ჯანზე ვიყო.

კახა შალამბერიძე

1995 წლის 29 მარტი. საქართველო — გერმანია 0:2. აკაკი დევაძემ ჰაიკო ჰერლიხს აუღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმა პოთ, თბილისი ცივა

უყვარდა ხოლმე თქმა პერუელს, რომელსაც ხელფასი აღარ მისცეს

გუშინ „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე გამართულ ამხანაგურ მატჩში მურთაზ ხურცილავას „სპარტაკმა“ 2:0 მოუგო აწ უკვე ულუისცაკარიასო „ლოკომოტივს“. ახალგაზრდა სპარტაკელებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანეს რკინიგზელებს და ულაპარაკოდ იძალეს.

„ლოკომოტივში“ კი სიახლე ისაა, რომ გუნდს პერუელი ცაკარიასის ნაცვლად ალბათ ზაურ სვანაძე გაწვრთნის. გუშინ სწორედ მან და თემურ ჩხაიძემ გაიყვანეს გუნდი სათამაშოდ. მოკლედ, სვანაძის „ლოკომოტივის“ თავკაცობა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. ხოლო ცაკარიასი იმიტომ წავიდა გუნდიდან, რომ მის მაღალ ხელფასს რკინიგზის ახალი ხელმძღვანელობა ვერ შესწვდა.

რაც შეეხება თამაშს, ის „სპარტაკის“ უპირატესობით წარიმართა. „ლოკომოტივი“ შეტევას კი ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. სპარტაკელთაგან გოლები გიგა ჟვანიამ და კახა ალადაშვილმა გაიტანეს, თუმცა ყოფილ დინამოელებს, ირაკლი სამხარაძესა და კობა შალამბერიძესაც ორი ურეალურესი მომენტი ჰქონდათ და ვერ გამოიყენეს, თორემ „ლოკომოტივი“ ალბათ დიდი ანგარიშითაც დამარცხდებოდა.

ლუკა თალაკვაძე

სიონი: შორსაა ფული, შორსაა ზღვა

ბოლნისური „სიონი“ გუშინ რუსთავში ჩავიდა და საკონტროლო მატჩი გამართა პირველლიგელ „გორდასთან“. მეტოქეებმა შეთანხმებისამებრ ორი თითოსაათიანი ტაიმი ითამაშეს სხვადასხვა შემადგენლობით. ძირითადებს ფრე, 1:1 გამოუვიდათ. მასპინძელთაგან არმაზ ჯელაძემ შეაგდო, ბოლნისელთაგან — ახალწვეულმა შოთა ჩომახიძემ. „სიონმა“ „გორდას“ სარეზერვოებთან გაცილებით კარგად ითამაშა და ისიანისა და ჩაგელიშვილის გოლებით 2:0 გაიმარჯვა.

ბოლნისელთა თავკაცი თემურ მახარაძე კმაყოფილი დარჩა გუშინდელი ორრაუნდიანი სპარინგით, თუმც უკმაყოფილოა იმითაა, რომ „სიონს“ კვლავაც გადაედო. შეკრება ჩაქვში ან ბაკურიანში. მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ფინანსებს უკავშირდება, თუმც „სიონს“ შეკრებაზე ხელი ბოლომდე არ ჩაუქნევია. ბოლნისელებს იმედი აქვთ, რომ 17 თებერვლისთვის მაინც მოხერხდება საწვრთნელად გასვლა, მანამდე კი მახარაძე კიდევ ორ საკონტროლო მატჩში დააკვირდება შეგირდებს.

პაატა კვანტალიანი

აბა, ეს რა გამოვიდა?!

გუშინ ჰო, დღეს არც ჰო, არც არა

ბერძნული მეორე ლიგის მორიგ ტურში ელგუჯა გუგუშვილის განვრთნილი „იანინა“ შინაურ სარბიელზე სალონიკის „კასანდრასთან“ დამარცხდა. „კასანდრასთან“ დებიუტი ჰქონდათ ლაშა ჯაკობიას და ვახტანგ ხვადაგიანს. „იანინა“ თავისას კი ეცადა ჩემპიონატის ლიდერ მეტოქესთან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — ზედ საფინალო სასტვენის წინ გოლი გაუშვა და მეცხრე ადგილამდე ჩაქვეითდა. „იანინას“ დღესდღეობით გავარდნა არ ემუქრება, მაგრამ გაცილებით მწვავე პრობლემის წინაშე დგას. გუნდი ფინანსურ კრიზისშია, ფეხბურთელები კუთვნილ ჯამაგირს ვერ იღებენ, ბერძნებს კი იმედიანი მზერა საქართველოსკენ აქვთ მოპყრობილი — ჯონი გიგანისგან ინვესტიციებს ელიან, გიგანს კი „იანინასთან“ დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ მიულია...

გუშინ ელგუჯა გუგუშვილს იანინაში, ჯონი გიგანს კი თბილისში დავუკავშირდით

ელგუჯა გუგუშვილი: ჩემპიონატის ლიდერთან ძნელ მატჩში წავაგეთ. უნდა მოგვეგო, მაგრამ მსაჯებმა გაგვწირეს. მატჩის შემდეგ გავიგე, რომ მეტოქეს მოქრთამული ჰყავდა არბიტრები ეს აქ ჩვეულებრივი ამბავია, უფულო გუნდი ადვილად იწირება. მსაჯის მიკერძოება მატჩის მსვლელობისას აშკარა იყო. ლაშა ჯაკობიაზე ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნეს. მატჩის ბოლოს კი, ისე, რომ საერთოდ არ უჩვენებიათ დამატებული წუთები, გოლამდე გვათამაშეს. 93-ე წუთზე თამაშგარედან გაგვიტანეს და იქვე საფინალო სასტვენიც გაისმა.

— ქართველებმა როგორ ითამაშეს?

— ხვადაგიანიც და ჯაკობიაც მთელი მატჩის მანძილზე საუკეთესონი იყვნენ მოედანზე. განსაკუთრებით ძლიერად ჯაკობიამ ითამაშა. ლაშა ბერძნებმა ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

— „იანინაშია“ ექსმერანელი ხუციშვილიც...

— დიახ, ხუციშვილიც აქაა, მაგრამ ტრავმირებულია და ამიტომ არ უთამაშია, თუმც ასე თუ გაგრძელდა, ქართველების „იანინაში“ დარჩენა სათუოა.

— რას გულისხმობთ?

— ფინანსურ პრობლემებს. რაც აქ ვარ, ხელფასები არ დარიგებულა. გუნდი ქალაქის ხელმძღანელთა იმედადაა, მათგან კი ჯერჯერობით სახეირო არაფერი გვესმის.

— თავის დროზე ითქვა, რომ გუნდის მეპატრონე ჯონი გიგანია. „იანინას“ შეძენა გიგანმა თავად დაადასტურა რამდენიმე თვის წინ.

— მეც ასეთი ინფორმაცია მქონდა, თუმცა, როგორც ჩანს, გიგანს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიულია. ამ მხრივ ბევრი რამ გასარკვევია და თუ სიტუაცია არ შეიცვალა, ქართველები აქ გამჩერებლები ნაღდად არ არიან.

— თქვენ თუ ესაუბრეთ გიგანს?

— არა, ამ საკითხზე მასთან არ მისაუბრია.

— ვიცით, რომ ხვალ თბილისში ბრუნდებით. საბოლოოდ მოდიხართ „იანინადან“?

— დიახ. 12 თებერვალს შვებულება მიმთავრდება, მთავრდება არდადეგები ზოოვეტერინარულ უნივერსიტეტშიც, 16-ში სწავლა გაგრძელდება და მეც სამსახურში უნდა ვიყო.

— ესე იგი, თქვენი „იანინას“ მწვრთნელ-კონსულტანტად დარჩენაც გამოირიცხა?

— ჯერჯერობით არა. დაველოდები მოვლენების განვითარებას და შესაძლოა, ჯონი გიგანთან ძველი შეთანხმების თანახმად კვლავაც დავრჩე „იანინას“ კონსულტანტად.



გუგუშვილთან საუბრის შემდეგ თბილისში მყოფ ბიზნესმენ **ჯონი გიგანსაც** შევეხმიანეთ.

— ხართ თუ არა „იანინას“ მეპატრონე?

— ვფიქრობ, ღირს თუ არა „იანინას“ ყიდვა.

— თქვენ რამდენიმე თვის წინ განაცხადეთ, რომ ბერძნული კლუბი შეიძინეთ...

— გაზეთებმა იჩქარეს მაშინ... ბიზნესს თავისი წესები აქვს, ამიტომაც მიმდინარეობს ამ საკითხზე მუშაობა, ყველაფერი ჩემს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მე კი, ჩემი მხრივ, ბევრი ნიუანსი მაქვს გასათვალისწინებელი.

— თქვენი სიტყვები იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ გამოირიცხა ბერძნულ კლუბთან თქვენი დაკავშირება?

— ასე არ ვიტყოდი, მაგრამ გამორიცხული არაფერია.

პაატა ძვანტალიანი

ნიკა ჯორჯაძის

ბოლი



კარტოფილის რესპუბლიკა

ოფისის ხაზინადარმა მეთიუ კანინგემს ოთახის გასათბობად ელექტროქურა აჩუქა და უთხრა, იქნებ კარადაში ან ტუმბოში შეინახო, არავინ რომ არ ნახოსო. მეთიუ ამ ამბავს თავისებური ლაზათითა ჰყვება და ასეთნაირადვე იცინის — აბრდღვიალებული ქურა კარადაში!

სასაცილო ამბები მეთიუს უხვად შეუგროვებია ქართველებზე, მაგრამ მოეძევება ამბებიც, რომლებსაც სერიოზულად, ფიქრიანად ჰყვება.

ჩემთვის საინტერესო ამბის მოსაყოლად კი მეთიუს პროვოკაციული შეკითხვა დავუსვი და მასაც არ უზარმაცია.

— ამბობენ, რომ თქვენ, ინგლისელებიც ირლანდიელებივით კელტები ხართ.

— ჩვენ ვართ ბრიტები, ნორმანები, ანგლები, საქსები და კელტებიც — ბრიტებს ყველა ესენი შეეთქვიფნენ.

— თუ ეგრეა, არც ირლანდიელები არიან ოდენ კელტები.

— ირლანდიელები კელტები და გელები არიან, შოტლანდიელებიც ალბათ უფრო კელტები არიან.

აჰა, „სელტიკი“ — „რეინჯერსი“ საცაა მომწიფდება, მეთიუც ეშხში შედის და სიგარეტსაც ისე ეწევა, ფილტრს სულ წინა კბილებით ღეჭავს.

— და რაღა უნდოდათ ირლანდიელებს გლაზგოში?

— ირლანდია სულ ღარიბი ქვეყანა იყო და მე-19 საუკუნის შუაში იქიდან დიდი მიგრაცია დაიწყო. ალბათ, თქვენც გსმენით „კარტოფილის ბუნტის“ შესახებ. ირლანდიელთა ძირითადი საკვები კარტოფილი იყო და თუ ვინმე მუყაითი ირლანდიელი ბიჭი გამოჩნდებოდა, ზურგზე კარტოფილის ტომარას მოიგდებდა და ისე ჩამოვიდოდა ინგლისში სასწავლებლად. მოკლედ, ბეჩავი ირლანდიელები გლაზგოშიც ბლომად დასახლდნენ და „სელტიკიც“ ირლანდიელმა, კათოლიკე ბერმა შექმნა.

— შოტლანდიელები რა ხალხნი არიან? თქვენს შორის ყველა წყენა დავიწყებულია?

— ჩვენ ერთნი ვართ. ჩვენებური გამოთქმა „ჰომნეიშენს“ ხომ გაგიგიათ?! „ჰომნეიშენსში“ ხანდახან ავსტრალიელები და ზელანდიელებიც შეგვყავს. აი, ის კი არ მესმის, წყენა რას უნდა ნიშნავდეს — გააზრებული ცხოვრება რაღაცნაირია, სხვანაირია და შოტლანდიელმა ყოველთვის იცის, ვინც არის.

ერთიცაა, მეთიუს ყბედობა ხანდახან გაბნევს და რამდენიმე წამი შევყოვნდი, უფრო სწორად, შევყოყმანდი — ვკითხო თუ არა მეთიუს, „სელტიკი“ უფრო ესიმპათიურება თუ „რეინჯერსი“.

— „რეინჯერსის“ ფერები ბრიტანულია — ლურჯი და წითელი, ხოლო „სელტიკი“ მწვანეა...

— მე ვქომაგობ „ბარნეტს“ — ეს გუნდი ახლა ინგლისის ქვედა ლიგებშია ჩაკარგული. გლაზგოური გუნდებიდან კი უფრო „სელტიკი“ მომწონს. „სელტიკის“ და „რეინჯერსის“ დაპირისპირება ახლა სხვანაირია, მაგრამ ამას საფუძვლად რელიგიური დაპირისპირება უდევს.

— რელიგიური თუ ეროვნული?

— შუა საუკუნეებში კათოლიკურ-პროტესტანტული დაპირისპირება ერთობ მძაფრი იყო და იმხანად რელიგია და ეროვნება ფაქტობრივად განუყოფელი გახლდათ.

— ინგლისელებიც ხომ პროტესტანტები ხართ და „სელტიკი“ რატომ გირჩევნიათ „რეინჯერსს“?

— „სელტიკს“ კარგი ისტორია აქვს — უცხო ქვეყანაში ჩასულმა ხალხმა გუნდი შექმნა! თანაც მწვანე ფერი ძალიან მიყვარს.

— და „რეინჯერსს“ არანაირი მენტალობა და სიდიადე არ გააჩნია?

— „რეინჯერსი“ შოტლანდიელებისთვის ეროვნული კულტურის ერთ-ერთი საყრდენია. „რეინჯერსს“ ისეთივე სიდიადე აქვს, როგორც შოტლანდიელთა ისტორიულ ომებს და სამეფო გოლფკლუბს.

— ინგლისელი და შოტლანდიელი გულშემატკივარი ერთი ყალიბისაა?

— შოტლანდიელები ამ საქმეში საუკეთესონი არიან. მათ ეხერხებათ საფეხბურთო სტადიონზე ზღაპრული ატმოსფეროს შექმნა და კიდევ, სხვა ქვეყანაში რომ ჩადიან, ინგლისელებივით როდი ჩხუბობენ. შოტლანდიელი ფანი ერთგული და ხალისიანია, არააგრესიული, დიდი-დიდი, კაბა აიწიოს.

— აკი, რეინჯერსელ და სელტიკელ ქომაგთ ერთმანეთი სძულთო? ოლდფირმული მატჩებიც სულ შუადღის პირველ საათზე იმართება, რათა ფანობამ დალევა ვერ მოასწროს...

— 30-იანი წლების ერთ-ერთ „ოლდფირმში“ „რეინჯერსის“ მეკარეს სელტიკელის ფეხი თავში მოხვდა და მოკვდა. გლაზგოში მაშინ რამდენიმე დღე საშინელი სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ მერე შერიგება მაინც მოხდა. „რეინჯერს“ — „სელტიკის“ დაპირისპირებაში ინსტინქტებს დადებითად, მიმზიდველად გამოხატავენ და ამის მშვენება ტარტანის ნაჭრისგან შეკერილი კილტიცაა — ამ ქვედაბოლოს ორასწლოვანი ისტორია თუ აქვს, მეტი არა.

მოკლედ, მეთიუს ხატვა უყვარს და იქნებ ეხერხება კიდეც. და როგორ დახატავს ის რეინჯერსელ ქართველებს?

— თქვენი რეინჯერსელები... ნუ, გამიგია.

— მე კი გამიგია, რომ ერთ-ერთმა გლაზგოურმა გაზეთმა დაწერა, სტატისტიკურად შოთა არველაძე სელტიკელ ჰენრიკ ლარსონს ჯობიაო...

— ამ შემთხვევაში სტატისტიკა არ არის მთავარი. ლარსონს უფრო მაღალ დონეზე უთამაშია, ვიდრე თქვენს არველაძეს. ჯერ კიდევ ათი წლის წინ გრძელთმიანი ლარსონი მსოფლიო თასზე თამაშობდა და ძალიან კარგადაც.

— ხიზანიშვილი კი ჯერ 22 წლისაა და მასზე სერ ალექს ფერგიუსონს ბი-ბი-სის რადიოში ულაპარაკია...

— ხიზანიშვილი ღონიერია და ბევრს დარბის, მაგრამ ჩამოუყალიბებელია, ხშირად ცდება, თუმც ხშირად ძალიან მაგარ რაღაცეებსაც აკეთებს, მოკლედ, ბიჭია. შოთა კი გამოცდილი ფორვარდია, რაც იცის, ზუსტად იცის და რაც არ იცის, იმას არ აკეთებს.

ასეთნაირად არაზბორებს ფეხბურთს მეთიუ, ვისაც ელექტროქურას იმიტომ ჩუქნიან, რომ დამალოს და ჩუმად გათბეს. თუმც მეთიუ უცნაური კაცი არ უნდა იყოს. „გლაზგოს“ სტადიონი „ჰემპდენ პარკი“ ადრე 120 ათას კაცს იტევდა და ჰემპდენურ ღრიალზე საშინელი რამ არ არსებობდა. ახლა ლეგენდარული „ჰემპდენი“ დაპატარავებულია. იქ ოდითგანვე თამაშობდა შოტლანდიის ნაკრები ანდაც შოტლანდიური სათასო მატჩები იმართებოდა „სელტიკ“ — „რეინჯერსს“ შორის. „აი, ღრიალი ეგ იყო“ — მეთიუ ძალიან ბედნიერად, ვნებიანად ჩაფიქრდა.



ანტონიო კასანო და ფრანსისკო ლიმა

დიდი ანტონიო და უკუგვაელი მჩეხავი

გმირი ლიმა, რომელზეც არ მღერიან

ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, გთავაზობთ იტალიელი დომინიკ ანტონიონის შეხედულებას სერია A-ს პირველობის ბოლო, მე-20 ტურის შესახებ. მიმომხილველი, როგორც წესი, ჯერ რამდენიმე გამოჩენილ, ტურის საუკეთესო ფეხბურთელზე მიგვითითებს, ხოლო შემდეგ ანტიგმირებსა თუ სხვა მოვლენებზე აჩერებს ყურადღებას. მაშ ასე, ამჯერად ანტონიონიმ ამოირჩია

ანტონიო კასანო (რომა) — კასანომ „იუვენტუსთან“ („იუვენტუსი“ კი „ანკონა“ არ არის) გამაოგნებლად ითამაშა. თამაში თამაშად და პლუს ორი გოლი... ამ შეხვედრის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მის ასაკში ასეთი დიდი ფეხბურთი ზინედინ ზიდანს და ფრანჩესკო ტოტიცოტა, რაც იცის, დიდებულად იცის. ის ყოველთვის მოვლენათა ცენტრშია გაჩხერილი, დაცვას ეხმარება და წინ მიარღვევს ყველაფერს. ლიმა ის გმირია, რომელზეც სიმღერებს არ წერენ.

კრისტიან კივუ (რომა) — მან დი ვაიოს წინააღმდეგ ისე ითამაშა, რომ მატჩის საერთო სურათსა და შედეგში შეიტანა დიდი წვლილი. თუ 6 იანვარს, „მილანთან“ თამაშს არ ჩავთვლით, კივუს ერთი მატჩი არ ჩაუგდია. „იუვესთან“ შეხვედრაშიც იგი მშვიდი და ელეგანტური იყო, რასაც საჯარიმო დარტყმით კინაღამ გოლი დაამატა.

პაოლო მონტერო (იუვენტუსი) — ამ ურუგვაელმა მცველმა, რაც სერია A-ში თამაშობს, მე-15 წითელი ბარათი მიიღო და პლუს თავისი გუნდი „რომას“ წინააღმდეგ უსასოოდ დატოვა. საძაგელი სანახავი იყო, როგორ მოცელა მან ფრანჩესკო ტოტი და საერთოდ, სრულიად შესაძლებელია, რომ მისი ტურინული კარიერა დასასრულს უახლოვდება.

ნიკოლა ლეგროტალიე (იუვენტუსი) — „რომასთან“ 0:4-ის წაგება აშკარად არ იყო ის, რაც მას უნდოდა. საქმე ის არის, რომ გასულ ზაფხულს ლეგროტალიეს შესაძენად ერთმანეთს სწორედ „იუვენტუსი“ და „რომა“ ედავებოდნენ. ეს ბრძოლა ასე დასრულდა: „რომამ“ დათმო და კივუს დასჯერდა, ხოლო კივუ ლეგროტალიესგან განსხვავებით როგორ თამაშობს, ზემოთ მოგახსენეთ.

კრისტიან მანფრედინი (პერუჯა) — ეს ის მანფრედინი აღარ არის, „კიევოში“ თამაშით რომ აღგვაფრთოვანებდა. „სან სიროზე“ მას კაფუმ ისე აჯობა, რომ „მილანთან“ თამაში კოშმარად უქცია, არადა, ოდესღაც „სკუადრა აძურას“ კანდიდატად მიიჩნევდნენ.

პაპუნა კედია

რომზე უსაყვარლესი

ტოტიმ და ვალდანომ რეალი უარყვეს

ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ ამ ზაფხულზე „რომადან“ წასვლას არ აპირებს. ამის განცხადება იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავს იმიტომ დასჭირდა, რომ ბოლოხანს გახშირდა პუბლიკაციები მისი „რეალში“ შესაძლო გადასვლის შესახებ, მაგრამ მან ხელები გაასავსავა, რომზე უკეთესი ადგილი დედამიწის ზურგზე არ მეგულებაო.

„ერთადერთი, რაც ამ ამბის შესახებ შემიძლია ვთქვა ის არის, რომ „რომადან“ ფეხს არ ვიცვლი. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და კონტრაქტის თანახმადაც 2006 წლამდე უნდა დავრჩე“ — თქვა ვარსკვლავმა, რომელმაც კვირას, სერია A-ს მე-20 ტურში „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა.

„ჩვენ „მილანს“ ხუთი ქულით ჩამოვრჩებით და მზად ვართ, ლიდერის თითოეული შეცდომით ვისარგებლოთ. კარგია, რომ სალიგო და სათასო მატჩები მათ ძალას წაართმევს, ჩვენ კი აშკარად ყურადღების ცენტრში უნდა ვიყოთ. კვირას „იუვენტუსს“ ისე დამაჯერებლად მოვუგეთ, როგორც არასდროს. ყველამ ნახა როგორი მონდომებულებიც ვართ და შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ გამარჯვებას ვიმსახურებდით“ — განაგრძო შემდეგ ტოტიმ იტალიის ჩემპიონატზე მსჯელობა.

ხოლო ტოტისა და „რეალის“ თემას თავად „რეალიც“ გამოეხმაურა. შეგახსენებთ, რომ ამ ჭორის პარალელურად გაძლიერდა სხვა ჭორიც, რომლის თანახმადაც მადრიდს თვით რონალდო დატოვებს, რათა „ინტერს“ დაუბრუნდეს.

„რეალის“ სპორტულმა დირექტორმა, ხორხე ვალდანომ განაცხადა:

„ტოტისთან არასდროს მილაპარაკია და მისთვის არასდროს არაფერი შემითავაზებია. უნიჭიერესი ფეხბურთელი რომ არის, ვერ უარვყოფ, მაგრამ დღეს ჩვენ იგი არ გვაინტერესებს, რადგან მისი ამპლუის ფეხბურთელები არ გვაკლია. რაც შეეხება რონალდოს, იგი ჩვენთან თავს ბედნიერად გრძნობს, საუკეთესო ფორმაშია და მეეჭვება მხოლოდ იმიტომ, რომ მასიმო მორატის მეგობარია, ჩვენგან წასვლა იფიქროს“.

პაპუნა კედია

შენი დედაც!

ტრადიციული მოკითხვა მარიოსგან

თავისი საკმაოდ სოლიდური ასაკის (35 წელი) მიუხედავად, ვიუმაჟი გერმანელი მარიო ბასლერი არ ცხრება. „ატლანტის ჩემპიონატის“ უკანასკნელ ტურში ბასლერის „ალ რაიანი“ „ალ ვაკრას“ ხვდებოდა და 1:0 დაამარცხა. თუმცა გერმანელმა შეხვედრის ჩამთავრება ვერ მოახერხა — ის მოედნიდან გააძევეს. მიზეზი საკმაოდ ბანალურია, მარიო არ დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას და ჯერ მიაძახა — შენ ვინ აგდიხარ მე რომ მასწავლიო? ხოლო აფრიალებულ წითელ ბარათს „წადი შენი დედაცო“ — მიაყოლა.

ბასლერს ეს ქმედება ექვსმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდება. თავად ფეხბურთელი კი უარყოფს ბილწსიტყვაობას, მაგრამ თამაში ხომ ტელეეზიითაც გადაიცემოდა? იქ კი საკმაოდ მკაფიოდ ისმოდა ბასლერისეული დედის მოკითხვის ამბები.

დავით ერაძე

პორტუგალია

სუპერლიგა. XXI ტური

ბოავიშტა 2:1 ალვერკა

0:1 ამორეირინია (42), 1:1 კლაუდიუ (90), 2:1 ფეიე-ფერი (90)

პორტუ	21	17	4	0	47:13	55
სპორტინგი	21	15	3	3	42:22	48
ბენფიკა	21	14	4	3	42:19	46
ბეირა მარი	21	10	5	6	31:25	35
ბოავიშტა	21	9	7	5	21:16	34
ბრაგა	21	10	4	7	22:26	34
მარიტიმუ	21	8	9	4	24:20	33
ნასიონალი	21	9	4	8	36:23	31
რიუ ავე	21	7	8	6	24:19	29
მორეირენსე	21	7	6	8	18:24	27
ჟილ ვისენტე	21	6	7	8	29:26	25
ლეირია	21	6	5	10	25:34	23
ბელენენსეში	21	4	8	9	25:37	20
ალვერკა	21	5	4	12	21:29	19
გიმარაეში	21	3	8	10	20:28	17
ფერეირა	21	5	2	14	13:33	17
აკადემიკა	21	4	4	13	16:28	16
ამადორა	21	3	2	16	14:48	11

იტალია

სერია B. XXVI ტური

ტორინო 3:2 ბარი

1:0 ტირიბოკი (5), 2:0 ვალემი (24), 2:1 ბრუნო (35), 3:1 რუბინო (72), 3:2 კორდოვა (88პ)

ატალანტა	26	11	13	2	33:18	46
ტერნანა	26	13	7	6	38:25	46
პალერმო	26	11	11	4	35:21	44
პიაჩენცა	26	12	8	6	27:21	44
კალიარი	26	11	8	7	43:29	41
მესინა	26	10	11	5	34:26	41
ლივორნო	26	9	12	5	32:25	39
ტორინო	26	9	10	7	36:29	37
სალერნიტანა	26	10	7	9	24:24	37
ტრიესტინა	26	9	9	8	34:34	36
კატანია	26	9	8	9	33:28	35
ასკოლი	26	8	10	8	31:31	34
ტრევიზო	26	8	10	8	28:28	34
ფიორენტინა	26	7	12	7	29:33	33
ალბინოლეფე	26	8	8	10	23:31	32
ვერონა	26	7	10	9	33:35	31
ნაპოლი	26	5	16	5	20:22	31
პესკარა	26	7	10	9	21:29	31
ვიჩენცა	26	6	11	9	24:26	29
ბარი	26	6	8	12	28:36	26
ვენეცია	26	5	11	10	21:30	26
კომო	26	5	9	12	19:31	24
ჯენოა	26	4	12	10	21:34	24
აველინო	26	1	11	14	20:41	14

გერმანია

II ბუნდესლიგა. XIX ტური

კოტბუსი 2:1 უნიონი

1:0 ბერჰალტერი (16), 2:0 კაუფმანი (66), 2:1 ბერჰალტერი (71ს.ჯ.)

უნიონი: ვულნიკოვსკი, ჰეიი, კოუკი, ჰაგე, დაბაჩი, ბრუსკო (ოკეკე 69), მოლატა, ბაუმგარტი (სირაძე 86), ბრუნსი, რისტიჩი, კეიტა (პოპოვი 69)

მწვრთნელი: მირკო ვოტავა

მსაჯი: კესლერი

12 660 მაყურებელი

ობერჰაუზენი	19	10	5	4	34:21	35
ნიურნბერგი	19	9	5	5	33:23	32
კოტბუსი	19	9	5	5	31:26	32
მაინცი	19	8	7	4	30:23	31
ალემანია	19	9	4	6	32:30	31
უნტერჰახინგი	19	8	5	6	30:28	29
კარლსრუე	19	8	4	7	22:24	28
არმინია	19	8	3	8	29:24	27
ბურგჰაუზენი	19	7	6	6	24:21	27
ლიუბეკი	18	6	7	5	30:26	25
ფიურტი	19	5	8	6	33:31	23
რეგენსბურგი	19	5	8	6	25:26	23
აუე	19	5	8	6	21:22	23
დუისბურგი	18	5	7	6	23:26	22
ტრირი	19	5	5	9	22:33	20
ალენი	19	6	2	11	20:32	20
უნიონი	19	4	5	10	19:25	17
ოსნაბრიუკი	19	4	4	11	18:35	16

ამხანაგური მატჩი

18 თებერვალი
იტალია – ჩეხეთი

ჩეხეთი

მეკარეები: პეტრ ჩეხი (რენი, საფრანგეთი), იაროსლავ ბლაჟეკი (სპარტა);

მცველები: ზდენეკ გრიგერა (აიაქსი, ჰოლანდია), ტომაშ ჰუბშმანი (სპარტა), მარტინ ჟირანეკი (რეჯინა, იტალია), მარეკ იანკულოვსკი (უდინეზე, იტალია), რენე ბოლეი (ბანიკი), რომან ტისი (მიუნხენ 1860, გერმანია);

ნახევარმცველები: კარელ პოპორსკი (სპარტა), ირჟი იაროშიკი (ცსკა, რუსეთი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი, იტალია), ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი, გერმანია), ტომაშ გალაშეკი (აიაქსი, ჰოლანდია), პეტრ ვორიშეკი (სპარტა);

თავდამსხმელები: იან კოლერი (დორტმუნდი, გერმანია), ვრატისლავ ლოკვენეკი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ირჟი სტაინერი (სპარტა), მარეკ ჰაინეკი (ბანიკი)

კრეატინით დაკუნთული იუვე

იტალიაში „იუვენტუსის“ დოპინგ-სასამართლო გრძელდება. ლაპარაკია 90-იანი წლების ერთობ წარმატებულ „იუვეზე“, მელმაც უამრავი ჯილდო კი მოიგო, მაგრამ დოპინგთან დაკავშირებული ეჭვები გამოინვია და 2003 წლის თებერვლიდან სასამართლოში აქვს საქმე.

პროკურორმა რაფაელე გუარინელომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცნობილი ფეხბურთელი დაიბარა ჩვენებების მისაცემად, თუმცა ორ ყველაზე ცნობილ ვარსკვლავს, ზინედინ ზიდანსა და ჯანლუკა ვიალის მხოლოდ ცოტა ხნის წინ მიადგა

ზიდანმა სასამართლოს შპრიცის ამბავი უამბო

ზიდანმა, რომელიც „იუვენტუსში“ 1996-2001 წლებში თამაშობდა, განაცხადა: „დიახ, მე რეგულარულად ვსვამდი წამალს სახელწოდებით კრეატინი. როდესაც კვირის განმავლობაში ერთ შეხვედრაზე მეტის ჩატარება გვიხდებოდა, მატჩებს შორის ორ გრამ ამ მედიკამენტს ვიღებდი და ხანდახან იგი ნემსითაც შეჰყავდათ ორგანიზმში. ეს სასტუმროში ხდებოდა. ჩვენ სეზონში 70 თამაშში ვმონაწილეობდით და დატვირთვის დაუხმარებლად გაძლება სრულიად შეუძლებელი იყო“.

შემდეგ ზიზუმ აღნიშნა, რომ კრეატინს მხოლოდ იტალიელები იყენებდნენ, ხოლო საფრანგეთსა და ესპანეთში ასეთი რამ არც გაეგოთ.

ადრეც დაგვიწერია, რომ პროცესზე მთავარი ბრალდებულები „იუვეს“ გენერალური დირექტორი ანტონიო ჯირაუდო და ექიმი რიკარდო აგრიკოლა არიან, ხოლო მთელი ეს ამბავი, იქნებ დაგავიწყდათ და, 1998 წელს, „რომას“ მაშინდელი მწვრთნელის, ზდენეკ ზემანის ერთმა ინტერვიუმ ააგორა. მაშინ ზემანმა ბევრ სხვა ამბავთან ერთად „იუვეს“ ფეხბურთელების მეტისმეტად დაკუნთულ სხეულებზე გაამახვილა ყურადღება, განსაკუთრებით კი ალესანდრო დელ პიეროზე შეჩერდა.

ასეა თუ ისე, ამბობენ, რომ სასამართლო პროცესი ზაფხულზე დასრულდება, მაგრამ როგორი იქნება ვერდიქტი? დიახ, კითხვის მოსმენა ნუ გაგიკვირდებათ, რადგან მართალია, კრეატინის რეგულარული სმის ფაქტი უდავოა (როგორც ხედავთ, ზიდანმა მისი დამალვა არც კი სცადა), თავად პრეპარატის ამბავი არ არის გარკვეული, ანუ მიუხედავად იმისა, რომ კრეატინი რამდენიმე სპორტულ ფედერაციას აკრძალული აქვს, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს იგი „ცუდი წამლების“ სიაში შეტანილი არ აქვს. მოკლედ, რა გინდათ, ბატონებო, „იუვენტუსის“ დირექტორებს და ექიმებს რას ერჩით და საერთოდ, ჯერ სპორტულმა საზოგადოებამ გაარკვიეთ ამ ნივთიერებამ რამე დაგიშავათ თუ არა.

სხვათა შორის, ოქტომბერში პროკურორის მიერ დაკითხული 150 ექიმიდან ერთ-ერთმა თქვა: „იუვეს“ შტაბში 281 დასახელების პრეპარატია და მათგან ხუთი აკრძალულიო, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ დასამტკიცებელია.

„ვატყობ, ბევრი ჩემი ყოფილი თანაგუნდელი აქ, სასამართლოში ისე მოდის თითქოს ვინმეს წინაშე რამე დანაშაული მიუძღვოდეთ, მაშინ, როდესაც ასე არ უნდა იყოს. ზემანი საძაგლად მოიქცა, როდესაც სერიოზულ პროფესიონალებს ჩირქი მოსცხო. საძაგლად მოიქცა ფეხბურთის ფედერაცია, ზემანი რომ არ დასაჯა. „იუვეს“ დასჯა შეუძლებელია, რადგან ჩვენ აკრძალული არასდროს არაფერი დაგვლევია“ — ეს მხნე სიტყვები კი ჯანლუკა ვიალის ეკუთვნის.

ამასთან ერთად კი, იტალიელები საერთოდ დოპინგისადმი დამოკიდებულებაზე დავობენ ისინ, საქმე ოს არის, რომ ეს აკმაც დოპინგის ამოცანობად ლაბორატორიებ-კონტროლიორები შარდის ანალიზს ითხოვდნენ, ახლა (ტურში მხოლოდ სამ სტადიონზე) **სისხლის ანალიზსაც** იღებენ, ოღონდ **სისხლი სისხლია** და მისი ჩაბარება ნებაყოფლობითი გახლავთ.

შედეგი ასეთია: ნახევარჯერ მოთამაშეები სისხლის ჩაბარებაზე უარს ამბობენ.

ყველაზე საეჭვო შემთხვევები მაშინ იყო, როდესაც კლუბებმა თავიდან თანხმობა განაცხადეს, მაგრამ საქმე შპრიცზე რომ მიდგა, უარი თქვეს. რა ხდება ნეტავ?

„რომას“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო: „ფეხბურთელები, რომლებიც სისხლის ჩაბარებაზე უარს ამბობენ, როგორც წესი, თავიანთ უარს ნემსის შიშს აბრალებენ. მათ რა, ყველანი სულელები ვგონივართ?“

„ლაციოს“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „ნემსის შიში თუ ფსევდოშიში ერთია, მაგრამ ნაწილობრივ არის მეორე მიზეზიც. ის, რომ მოთამაშეებს სინჯების არევის ეშინიათ. სინჯებს ხომ არ ლუქავენ“.

და ბოლოს, რა არის კრეატინი? ეს გახლავთ ამინომჟავა, რომელსაც საკუთრივ ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს და მისი წყალობით კუნთი იკუმშება. შესაბამისად, ამ ნივთიერების დამატებითი დოზით შეყვანა კუნთის მოქმედებას აძლიერებს და ზრდის კიდეც მის მასას. ცხადია, ზღვარგადაჭარბებული საპირისპირო შედეგს იძლევა. ოპტიმალური დოზა ყოველ კილოგრამზე 0,4 გრამია. მიღება სჯობს წვენთან ერთად ყოველდღე 4-6 კვირის განმავლობაში.

პაპუნა კედია

DON TRAP, PER FAVORE

ანჩელოტის მილანი იტალიისთვის არ ემეტება

სერია A-ს ლიდერ „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი იტალიის ნაკრების მხცოვან თავკაცს, ჯოვანი ტრაპატონის თხოვს, 18 თებერვალს პალერმოში დაგეგმილი ამხანაგური მატჩისთვის, „როსონერის“ ფეხბურთელები არ მიიწვიოს. „სკუადრა აძურა“ ამ დღეს ჩეხეთს ეთამაშება.

როგორც ჩანს, ანჩელოტიმ იცის რასაც აკეთებს, მისი არგუმენტი კი ის გახლავთ, რომ 21 თებერვალს „მილანი“ თანაქალაქელ და მოსისხლე „ინტერს“ დერბიში „მასპინძლობს“, სამ დღეში კი „შავწითლებს“ საჩემპიონთალიგო მერვედფინალური ჯახი ელით პრაღის „სპარტასთან“.

„ექვსი დღეში სამი პრინციპული თამაშის ჩატარება შეუძლებელია, ფეხბურთელები უბრალოდ, დატვირთვას ვერ გაუძლებენ — ამბობს ანჩელოტი და დასძენს — მესმის, ნაკრები მუდამ უმთავრესია და მეამყება, რომ ტრაპატონის „სკუადრა აძურაში“ ჩემი გუნდიდან ერთბაშად შვიდი ფეხბურთელის მიწვევა სურს. დონ ტრაპ, გთხოვთ, გამიწიეთ ანგარიში“.

ეს ყოველივე სააგენტო ANSA-მ გაავრცელა და იქვეა მითითებული ჯოვანი ტრაპატონის სასურველ მილანელ ფეხბურთელთა გვარებიც: აბიატი, ნესტა, პანკარო, გატუზო, პირლო, ამბროზინი და ფილიპო ინძაგი.

გიორგი ვაზაკიძე

აბა, შერიგდით, ბიჭებო!

ასე მიმართა პოპულარულმა იტალიურმა გამოცემა LA GAZZETTA DELLO SPORT-მა მარკო მატერაცის და ბრუნო ჩირილოს და გუშინ მოჩხუბარნი რედაქციაში იწვია. ამ ორი იტალიელი ჯეელის მუშტისტრიალის შეხსენება ვინძლო, ზედმეტი იყოს, მაგრამ გულმავიწყთათვის კიდევ ერთხელ შევიხედოთ მილანური „სან სიროს“ გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში, სადაც „ინტერის“ ავკაცობით ცნობილმა მცველმა მარკო მატერაციმ „სიენას“ ბრუნო ჩირილოს ტუჩები ისე მიუთეთქვა, კარგა ხანს ენას პირში ვეღარ ატრიალებდა. ამ ამბავს იტალიაში დიდი ხმაური მოჰყვა, მატერაცი ფედერაციის დისციპლინარებმა ორი თვით მოკვეთეს, კლუბი კი 50 000 ევროთი დააჯარიმეს.

ახლა კვლავ თავში ნათქვამს დავუბრუნდეთ — იტალიელ ჟურნალისტთა კეთილშობილურ ზრახვას მოჩხუბარნი დიდი სიხარულით შეხვდნენ და ორივე LA GAZZETTA DELLO SPORT-ს შერიგების სურვილით შეპყრობილნი მიადგნენ. ეს ამბავი, რომ ნაღდია, აგერ, ბატონო, ამ ფოტოზეც კარგად ჩანს.

კახა ხურციძე

პორტუგალიური ყირამალა

რუი კოშტა მესამეს ტოლდოს მიართმევს

იტალიაში „მილანის“ პორტუგალიელ გამთამაშებელ სეზარ მანუელ რუი კოშტაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ. ამბობენ, სამწლიანი შესვენების შემდეგ როგორც იქნა, გოლის გემო გაიხსენა. მოგეხსენებათ, მან სერია A-ს ბოლო სამ ტურში უკვე ორჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი, „ანკონას“ და „პერუჯას“ გაუტანა. ისიც ითქვა, პორტუგალიელი სეზონის ბოლოს „მილანს“ დატოვებს და ზაფხულიდან ან „ბარსელონაში“ გადავა, ანაც ლისაბონის „ბენფიკაშიო“.

ერთი სიტყვით, რუი კოშტას ინტერვიუ ალბათ, დაგაინტერესებთ, სადაც იგი „მილანიდან“ შესაძლო წასვლაზე არაფერს ამბობს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მანუელ, სამ ტურში ორი გოლი გაიტანეთ. რა მოხდა, რას მივაწეროთ ეს ყოველივე?

— იმას, რომ ბომბარდირი ვარ. ეს, ცხადია, ხუმრობით. სერიოზულად კი, ვიმედოვნებ, რომ ცუდი დღეები წარსულს ჩაბარდა. რა თქმა უნდა, ყოველ ტურში ვერ შევძლებ გატანას, მაგრამ სეზონის ბოლოს საშუალო მაჩვენებლითაც კმაყოფილი ვიქნები.

— და მაინც, ეგებ გვითხრათ მიზეზი...

— ძნელი სათქმელია. ალბათ, უფრო ბედი არ მწყალობდა: კარში ყოველთვის ვურტყამდი, მაგრამ ბურთი ხან ძელს ხვდებოდა, ხანაც მცველებს, თუ არა და მეკარე იჭერდა.

— ცხადია, უიღბლობას უჩიოდით...

— რა თქმა უნდა. ჩემი ძირითადი მოვალეობა თავდამსხმელთა ზუსტი პასებით მომარაგებაა, მაგრამ გოლის გატანაზე რომელი ჭკუათმყოფელი ფეხბურთელი იტყვის უარს? პირველად „ანკონას“ რომ გავუტანე, უფრო თავდაჯერებული გავხდი და შევგულიანდი, ამიტომაც ვთხოვე „პერუჯასთან“ მატჩში ანდრეა პირლოს, ჯარიმას მე დავარტყამ, რატომღაც მჯერა, რომ უეჭველად გავიტან-მეთქი. საბედნიეროდ, ასეც მოხდა.

— ვიცით, რომ თქვენი სიხარული ოჯახმაც გაიზიარა...

— თავისთავად, ჭირშიც და ლხინშიც ერთად ვართ. ყველაზე მეტად კი ჩემმა 9 წლის ფილიპემ გაიხარა, იგი „პერუჯასთან“ მატჩს დედასთან ერთად ტრიბუნიდან უყურებდა. გოლიც მას მივუძღვენი. ფილიპე „ვარეზეს“ ბავშვთა გუნდში თამაშობს და ჩემსავით ნახევარმცველია, თუმც, ჩემგან განსხვავებით, თითქმის ყოველ თამაშში ძალიან ბევრი გოლი გააქვს.

— ახლა „მილანზე“. გუნდი სერია A-ს ერთპიროვნული ლიდერი და სკუდეტოს მოგების რეალური ფავორიტია. შარშანდელთან შედარებით რა შეიცვალა?

— ის, რომ უფრო ძლიერები გავხდით. შარშანდელმა ტრიუმფმა ძალები შეგვმატა და საკუთარ შესაძლებლობებში უფრო დაგვარწმუნა. რა თქმა უნდა, ძალიან წაგვადგა ახალი ფეხბურთელების შემატებაც — კაფუმ, პანკაროთ და კაკამ „მილანი“ მნიშვნელოვნად გაძლიერეს. და კიდევ ერთი მოტივაციაც გვაქვს: „მილანში“ 25 ფეხბურთელი ირიცხება, რომლის უმრავლესობამაც სკუდეტოს გემო უბრალოდ, არ ვიცით.

— „რომა“, „იუვენტუსი“... მათ საკვირაო ჯახს, ცხადია, უყურებდით. უფრო რომელია „მილანის“ კონკურენტი?

— თუ მხოლოდ კვირის მატჩი ვიმსჯელებთ, „რომა“. ფაბიო კაპელოს მართლა ძლიერი გუნდი ჰყავს, თუმც ნურც „იუვეს“ ჩამოვწერთ, მარჩელო ლიპის გუნდს ხომ ერთი ძალიან ფასეული თვისება გამოარჩევს, „იუვენტუსი“ არასდროს ნებდება. ასე რომ, შეცდომა იქნება, თუ ჩვენ უკვე თავი იტალიის ჩემპიონებად დავიგულეთ.

— დავუშვათ, 1000-ევროიანი ფსონის დადება შემოგთავაზეს, ვინ გახდება იტალიის ჩემპიონი. ვისზე დადებდით?

— მაგას კითხვა უნდა? რა თქმა უნდა, ჩვენზე. ამის თქმის საფუძველს ჩვენი უსაზღვრო პოტენციალი მაძლევს და თანაც სერია A-ს ერთპიროვნული ლიდერები ვართ, მაგრამ ვიცით, ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა და შემიძლია, დავამტკიცო, რომ უშუალო კონკურენტებთან ხუთი, თუნდაც რვაქულიანი უპირატესობა იტალიაში არაფერია. ათწლიანი იტალიური კარიერის მანძილზე ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი: ხომ არ დაგვიწყებიათ, ჩვენ შობამდე „რომას“ ექვსი ქულითაც ჩამოვრჩებოდით, ახლა კი მათ ხუთი ქულით ვუსწრებთ. მოკლედ, ყველაფერი წინაა, თუმც ჩემპიონები აუცილებლად ჩვენ უნდა გავხდეთ.

— ბრაზილიელ კაკაზეც ვთქვათ. ის თქვენი კონკურენტია, მან ძირითადში ადგილი დაგაკარგვინათ. ასეა?

— არანაირად. მოკლედ გეტყვით: კაკა ბრწყინვალე ფეხბურთელი და პიროვნებაა. რა თქმა უნდა, შარშანდელისგან განსხვავებით, მოედანზე გასვლა ახლა იშვიათად მიწევს, მაგრამ სათადარიგო ფეხბურთელად თავს არ ვთვლი. კუთვნილი ადგილისთვის ყოველთვის ვიბრძოლებ, თუმც მინდა, სიამაყით ვთქვა, ეჭვიანი და ბოროტი არ ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ. ვგრძნობ, რომ „მილანისთვის“ საჭირო კაცი ვარ და ეს მაშინაც ვიგრძენი, როცა სათადარიგოთა სკამზე მომიწია ჯდომამ. ჩვენ რამდენჯერმე ერთადაც ვითამაშეთ, კაკა არაორდინალური მოთამაშეა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ სერია A-ში, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში, უკვე დიდი ხანია თამაშობს. კაკა „მილანისთვის“ დღითიდღე ფასეული ფეხბურთელი ხდება და ეს ერთობ მახარებს. იგი ძალიან ახალგაზრდა და, რაც მთავარია, გულღია, სუფთა პიროვნებაა. წარმატებებს გულით ვუსურვებ.

— თქვენ სულ საოცნებო სკუდეტოს მოგებაზე ლაპარაკობთ. აი, კარლო ანჩელოტი კი თითქმის ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელობას. „მილანისთვის“ რომელი უფრო პრესტიჟულია, იტალიის ჩემპიონობა თუ ჩემპიონთა თასის შენარჩუნება?

— ბუნებრივია, ორივეს მოგება ბრწყინვალე იქნება. უკაცრავად ანჩელოტისთან, მაგრამ ვთვლი, რომ „მილანის“ დონის გუნდისთვის ტიტულების დანაწევრება არაა გამართლებული. ორივე ტურნირი ძალიან ფასეული და დიახაც რომ პრესტიჟულია ჩვენთვის: მანჩესტერული ფინალი თავისი განცდებით ცხოვრებაში არ დამავიწყდება და ვისურვებდი, წლეულსაც განმეორებულიყოს. მაგრამ სკუდეტოს მოგებაზეც ვოცნებობ, ათი წლის მანძილზე, რაც იტალიაში ვარ, ეგ ბედნიერება არასდროს მღირსებია. ახლა ჩინებული შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. თუ „მილანთან“ ერთად ვერ გავხდი იტალიის ჩემპიონი, ჩემი ოცნება არასოდეს ახდება.

— რას იზამდით სეზონის ბოლოს, თუ „მილანი“ იტალიის ჩემპიონიც გახდა და ევროპის ჩემპიონთა თასიც შეინარჩუნა?

— რასაც თანაგუნდელები მეტყვიან ყველაფერს: თმებს შევიჭრი, შევიღებავ, გადავიპარსავ კიდეც. მოკლედ, მგონი, ყირაზე გადავალ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება.

— ორჯერ უკვე გაიტანეთ, ნათქვამია, მესამე და სამართალიო. ვის კარში ისურვებდით და როგორის გატანას?

— „ინტერის“ კარში, დიდი დერბი ახლოვდება. პირველად „ანკონას“ ჯარიმიდან გათამაშებული გავუტანე, „პერუჯას“ პირდაპირ საჯარიმოთი. აი, ტოლდოს კი ინდივიდუალური გარღვევის შედეგად მინდა, გავუტანო. ჯერ ერთი, ფრანჩესკო ჩემი მეგობარია და ვიცი, სხვანაირად არ აღიქვამს. მეორეც ის, რომ ვინ არ ოცნებობს დერბიში გოლის გატანაზე?

ჰოდლს ზღვისკენ ეწევიან

საუთჰემპტონს ჯირვეული გლენი გაახსენდა

აი, ამბავი: გლენ ჰოდლი „საუთჰემპტონში“ ბრუნდება და ამ კვირის ბოლოდან მენეჯერობას ჩაიბარებს. ზღვისპირელთა ავად მყოფი თავკაცი გორდონ სტრაჩანი სეზონის ბოლოს ისედაც ტოვებს გუნდს და ბარემ ახლავე გავა პენსიაშიო. ამას იტყობინებიან ინგლისური ტაბლოიდები, თუმცა „საუთჰემპტონის“ თავმჯდომარე რუპერტ ლოუ არც უარყოფს და არც ადასტურებს ამ ამბავს.

„საგაზეთო ხმაური ხელს გვიშლის. ჩვენ კანდიდატურებს განვიხილავთ, ახალი მენეჯერის ვინაობას საჭირო დროს გამოვაცხადებ“ — ამბობს ის.

საუთჰემპტონში კი ჰოდლზე ცუდი გულისანი არიან: ორწელიწადნახევრის წინათ მან შუა სეზონში მიატოვა გუნდი, რათა თავის საყვარელ „ტოტენჰემში“ მიეღო მენეჯერის თანამდებობა. გასული შემოდგომით ჰოდლი „უაით ჰართ ლეინიდან“ დაითხოვეს.

„საუთჰემპტონის“ ფანებმა გასულ შაბათს „სენტ მერის“ ტრიბუნებზე გამოხატეს თავიანთი აზრი, როცა ჰოდლის საწინააღმდეგო ლოზუნგები გამოფინეს „ფულემთან“ მატჩის დროს, თუმცა ფანობის აზრი გაყოფილია:

ლოუ და ბევრნი ფიქრობენ, რომ სწორედ ჰოდლმა ჩაუყარა საფუძველი იმას, რომ ლიგის მაჩანჩალადან „საუთჰემპტონი“ ევროსაგზურებზე მონადირედ იქცა.

როცა ჰოდლმა გუნდი დატოვა, „საუთჰემპტონი“ მეშვიდე ადგილზე იყო და ზედიზედ ხუთი თამაში ჰქონდა მოგებული. შემოდგომზე, როცა „საუთჰემპტონი“, „ტოტენჰემს“ ეწვია, ლოუმ ხელი ჩამოართვა ჰოდლს, რაც ყველამ წყენის დავიწყებად აღიქვა. ბედის დაცინვით, ჰოდლი სწორედ ამ თამაშის შემდეგ მოხსნეს — „საუთჰემპტონმა“ 3:1 მოიგო.

ისიც უნდა ითქვას, რომ „საუთჰემპტონი“ მხოლოდ ჰოდლს არ უტრიალებს. კანდიდატები საფრანგეთშიც მონიშნულია: „მარსელის“ ყოფილი მწვრთნელი ალენ პერენი და ფილიპ ტრუსიეც თითქოს ამ საქმისთვის უნდათ.

თუკი ლოუ უცხოელის მოყვანას ვერ გადაწყვეტს, მაშინ ალბათ სწორედ ჰოდლზე შეჩერდება. თუმცა, ტაბლოიდების ხმაური მაინც ნაადრევი ჩანს.

ირაკლი გამყრელიძე

მოემზადეთ გულისხვეთქვისთვის

ბექემის თებერვალი სასიამოვნოდ სუსხიანია

დევიდ ბექემისა და მადრიდის „რეალის“ თანაცხოვრება მადრიდელ ინჩასთა გულის გასახარად ფრიად საკეთილდღეოდ აეწყო — დევიდი „ბერნაბეუზე“ ყოფნით კმაყოფილია, თანაგუნდელებითაც ამაყობს და სამეფო თასზე „სევილიასა“ თუ ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნის“ დასამარცხებლად ემზადება. ყოველივე ამის შესახებ ბრიტანელმა ვარსკვლავმა „რეალმადრიდ TV“-ს ეთერში ილაპარაკა

— მადრიდის „რეალს“ სამეფო თასის ფინალამდე ერთი ნაბიჯი დარჩა...

— ყველას, მათ შორის ქომაგებსა და მადრიდელ ჟურნალისტებს სჯერათ, რომ საშინაო მატჩის შემდეგ „რეალმა“ პრაქტიკულად უკვე გაინაღდა გამარჯვება და სევილიაში გასამართ მეორე მატჩს. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რა თქმა უნდა, ეს ცუდი არ არის, ხალხს ჩვენი მოგებისა სწამს, მაგრამ ასი პროცენტით დარწმუნებული ხომ ვერაფერში იქნები. „რეალის“ ფეხბურთელებს გვესმის ესპანეთის თასის მნიშვნელობა და ამიტომ „სევილიასთან“ ფრთხილად ვითამაშებთ.

— ანდალუსიელებთან მართლაც სიფრთხილეა საჭირო — ხოაკინ კაპაროსის ბიჭებმა საკუთარ „სანჩეს პისხუანზე“ პრიმერადივიზიონის მე-11 ტურში „რეალს“ გუნდს 4:1 მოუგეს. მეტოქის შესაძლებლობებს როგორ შეაფასებდით?

— უკვე გვითამაშია სევილიაში და, ბუნებრივია, ყველა ჩვენგანს ახსოვს, რაც იქ მოხდა. „რეალი“ იოლ გასეირნებას არ ელოდება და სათასო მეორე შერკინებაც ორივე გუნდისთვის ძალიან რთული უნდა იყოს.

— 11 თებერვლის მატჩში შეგიძლიათ, თავისებური რევანში იზეიმოთ...

— ამისთვის საჭიროა ის უიღბლო საპრიმერო შეხვედრა დავივიწყოთ და საქმეს, ასე ვთქვათ, მომგებიანი მხრიდან შევხედოთ. „რეალს“ რევანში არ უყვარს, მაგრამ გამარჯვებათა ისტორიაში რაიმე ბნელი ლაქის დატოვებაც არაფრად ეპიტნავება.

— საფეხბურთო თვალსაზრისით როგორი მომზადებული ხვდება „ბერნაბეუს“ არმადა კოპა დელ რეის დაპირისპირებას?

— გუნდში ყველანაირი თვალსაზრისით საკმაოდ კარგი სიტუაციაა. მთავარია, რომ ჩვენი, „რეალისეული“ სათამაშო სტილი არ დავკარგოთ და მაყურებელი სასურველ შედეგთან ერთად ისევ ჩვეულად, წარმტაცი ფეხბურთითაც დატკბეს. ბიჭების ჩინებულ ფიზიკურ ფორმაზე ბოლო რამდენიმე შეხვედრაც მეტყველებს — ესპანეთის ჩემპიონატში მოწინააღმდეგეებს დამაჯერებელი უპირატესობით ვამარცხებთ.

— „რეალს“ იოლად შეეგუეთ. ახლა კარლუშ კეირუშმა მოედნის ცენტრში ხოსე მარია გუტიერესის გვერდით გაგამწესათ. რას იტყოდით ბექემისა და გუტის ერთობლივი საქმიანობის შესახებ?

— სიმართლე იქნება, თუ აღვნიშნავ, რომ მობურთალთა იმ ბირთვით, რომელიც „რეალში“ გარს მარტყია, ძალიან კმაყოფილი ვარ. „ბერნაბეუზე“ მსოფლიოს საუკეთესონი თამაშობენ. გუტი სწორად გაგახსენდათ, მინდვრის ცენტრში მოქმედება განსაკუთრებით მასთან ერთად მიადვილდება ხოლმე.

— გუტის თქვენი თამაშის მანერასთან შეჩვევა ხომ არ გაუჭირდა?

— არა, გუტი შესანიშნავი ფეხბურთელია და შესაბამისად, არც ჩვენი დუეტის აწყობა გასძნელებია. ვიმედოვნებ, „რეალის“ მექანიზმი დარჩენილ მატჩებშიც ისევე აწყობილად იმოქმედებს, როგორც ადრინდელ შეხვედრებში.

— მით უმეტეს, ახლა, როდესაც პრიმერაში თუ ევროპულ სარბიელზე ძლიერ მეტოქეებთან შეჯახება გიწევთ...

— ჩვენთვის თებერვალი რთული იქნება. ჯერ სამეფო თასზე „სევილიასთან“, მერე ქვეყნის ჩემპიონატში „ვალენსიასთან“, ხოლო ამის შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნთან“ მოგვიწევს ჭიდილი. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებ, რომ „რეალი“ სამივე ბარიერს გადალახავს.

— რახან „ბაიერნი“ ახსენეთ, საჩემპიონთალიგო მერვედფინალში უშეღავათო ომს უნდა ველოდოთ?

— ორი დიდი გუნდი ხვდება ერთმანეთს და გამოდინარე აქედან, თავადვე დაასკვენით „რეალ“-„ბაიერნის“ ქომაგებს როგორი გულისხვეთქვაც ელით. საფეხბურთო ისტორიაც „ხელს გვიწყობს“. ამ კლუბების არც ერთ შეხვედრას უომრად არ ჩაუვლია და გამონაკლისი წლევანდელი ლიგაც არ იქნება. რა გაეწყობა, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გრანდის დამარცხება მოგვიწევს...

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა:

დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

ფეხბურთის რუკასთან

ესპანური „ბილბაოს“ პერსპექტიულმა მცველმა ასიერ დელ ორნომ კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. ეს წესით აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ფეხბურთელმა მოულოდნელად შეწყვიტა მოლაპარაკებები, რამაც პრესა მის „ბარსელონაში“ შესაძლო გადაბარგებაზე აალაპარაკა. თუმც, ბასკურმა კლუბმა საბოლოოდ თავისას მიაღწია და ახლა, თუ რომელიმე გუნდი დელ ორნოს შეძენას მოისურვებს, „ბილბაოს“ 20 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

ფრანგული „ლე მანის“ თავკაცმა ტერი გუდემ პოსტი დატოვა. იგი „ლე მანს“ 2000 წელს ჩაუდგა სათავეში და პატარა კლუბიც თავის ისტორიაში პირველად აღაზევა საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში. ახლა „ლე მანი“ ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია და გავარდნის უმთავრესი კანდიდატიცაა. გუდეს თქმით, დამნაშავე სწორედ იგია: „დიდი ხანი ვფიქრობდი და გადავწყვიტე, კლუბისთვის ასე ავჯობებს. ჩემპიონატის ბოლომდე კიდევ 15 ტურია და მწამს, სხვა მწვრთნელის დახმარებით ქვედა ლიგაში გავარდნას გადავრჩებით“. „ლე მანის“ ხელმძღვანელობამ კი მისი გარჯა არ დაივიწყა და გუდეც კლუბში გენერალურ მენეჯერად გადაიყვანა, ხოლო გუნდს ამიერიდან ალან პასკალუ იქნება.

იტალიური „მილანის“ პორტუგალიელ გამთამაშებელ მანუელ რუი კოშტაზე პრესაში ჭორები ვრცელდება. ამბობენ, შესაძლოა, რუი კოშტა სეზონის ბოლოს კატალონიურ „ბარსელონაში“ გადავიდესო, სადაც მას ძირითადში ადგილიც გარანტირებული ექნება. ჭორების თანახმად, „ბარსელონა“ მზად არის, პორტუგალიელის სანაცვლოდ მექსიკელ მცველ რაფაელ მარკესს შეელიოს.

ესპანურმა „დეპორტივომ“ გუნდის ერთ-ერთ ლიდერ ხუან კარლოს ვალერონს 2010 წლამდე გაუხანგრძლივა კონტრაქტი. ინიციატორი თვით კლუბის პრეზიდენტი აუგუსტო ლენდოირო გახლდათ, რომელმაც რამდენჯერმე განაცხადა, ძალიან მინდა ვალერონმა კარიერა ჩვენთან დაასრულოსო. საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია თავად ფეხბურთელსაც, რომელიც თავის პოზიციაზე ესპანეთში ერთ-ერთი საუკეთესოა: „ბედნიერი ვარ, რომ ვითამაშებ იმ კლუბში, რომელშიდაც თავს ძალიან კარგად ვგრძნობ“.

ნიგერიელი მოჰამედ კალონისა და იტალიელი ემანუელე ბლაზის აპელაციამ შედეგი გამოიღო. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელებს დაახლოებით ორი თვის წინ დოპინგის მოხმარების გამო შესაბამისად რვათვიანი და ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯათ. თუმცა მათ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და სასჯელის ცოტათი შემცირებასაც მიაღწიეს. კალონს ორი თვე მოაკლდა და ახლა „ინტერის“ ღირსების დაცვას 23 აპრილიდან შეძლებს, ხოლო ბლაზის, რომელსაც მხოლოდ ერთი თვე ჩამოაკლეს, 17 მარტიდან შეეძლება „პარმასთან“ ერთად მოედანზე გასვლა.

სენეგალელ ელ ჰაჯი დიუფს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ააკრეს. დიუფმა ეს სასჯელი ტუნისთან აფრიკის თასის მეოთხედფინალური მატჩისას მოწყობილი დებოშის გამო „დაიმსახურა“. იცით, შეხვედრაში გაწევ-გამოწევა მრავლად იყო, მაგრამ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ ჯერჯერობით მხოლოდ ის ეპიზოდი გამოარჩია, სადაც დიუფი ტუნისელ ალი ბუჯსაიმს მივარდა და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. ახლა, სენეგალელთა ლიდერს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საწყისი მატჩების გამოტოვება მოუწევს.

ჩეხი მეკარე პეტერ ჩეხი ლონდონის „ჩელსიმ“ რომ გადაიბირა, კარგა ხანია, ცნობილი, მაგრამ ოფიციალური განცხადება ახლა გაკეთდა. ინფორმაცია ფრანგული „რენის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება, რომლის თანახმადაც „ჩელსისა“ და „რენს“ შორის ყველა დეტალი შეთანხმებულია და 21 წლის გოლკიპერიც ზაფხულიდან „არისტოკრატების“ სრულუფლებიანი წევრი გახდება.

ესპანელმა ნახევარმცველმა ხოსე მარია გუტიმ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში მიიღო მონაწილეობა და ძალიან საინტერესო რამ თქვა: „რეალში“ ბევრჯერ რთული პერიოდები მქონია და კლუბის დატოვებაზეც ხშირად მიფიქრია. ბოლოს, ეს გასულ სეზონში მოხდა, მაგრამ კლოდ მაკელელეს გუნდიდან წასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შევცვალე. აქვე ვიტყვი, რომ თუ მადრიდი ოდესმე დავტოვე, „ბარსელონაში“ არასდროს გადავალ. კატალონიელთა ძირითადში უცვლელ თამაშს მირჩევნია, „რეალის“ სათადარიგოთა სკამზე ვიჯდე“. — ამბობს გუტი. იქვე, მან ერთ-ერთ ბლიც კითხვაზე — შედარებისთვის, რომელი მწვრთნელი ჯობია ვისენტე დელ ბოსკე თუ კარლუშ კეირუში, გუტიმ დაუფიქრებლად უპასუხა: რა თქმა უნდა, დელ ბოსკე.

აფრიკის ეროვნებათა თასი 2004
ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

ნიგერია — ტუნისი | **ნახევარფინალი ანონსი** | **მალი — მაროკო**

ნიგერიელებმა აფრიკის თასი ბოლოს ათი წლის წინ მოიგეს და რაც უფრო საინტერესია, სწორედ ტუნისში.

თუმცა ამას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ნიგერიელები ჯერ ფინალში უნდა გავიდნენ, რომლისკენ მიმავალ გზაზეც მათ მასპინძელი ტუნისელები ელობებიან. თერთმეტი ტუნისელის გარდა „სუპერარწივებმა“ ათი ათასობით გადარეული ტუნისელი გულშემატკივრის ზეწოლასაც უნდა გაუძლონ, რომლებიც აუცილებლად გაავსებენ სტადიონს

არ მისცე ნიჭსა გზა ფართო

ლემერმა დისციპლინაზე და ოკოჩაზე ბევრი ილაპარაკა

ნიგერიელთა მწვრთნელი კრისტიან ჩუკვუ კი ამტკიცებს, რომ სტადიონზე მტრული ატმოსფერო მას არ აშინებს: „ჩემი ფეხბურთელების უმეტესობა დიდ ევროპულ კლუბებში თამაშობენ და მეტოქის გულშემატკივრის ფაქტორი არ აშინებთ. ამას შეჩვეულები არიან. მეტიც, გარწმუნებთ, რომ თამაში ტუნისელებისთვის უფრო რთული იქნება, ვიდრე ჩვენთვის. ტუნისელ ფეხბურთელებს გულშემატკივრების რისხვის შიში ექნებათ, ჩვენ კი თუ დაგვისტვენენ, კარგი თამაშის ნიშანი იქნება. იმასაც ვფიქრობ, რომ სწორედ ჩვენს წყვილში გამარჯვებული გუნდი მოიგებს თასს.“

ჯეი-ჯეი ოკოჩა

გეხსომებათ, რომ ტუნისმა მეოთხედფინალში სენეგალს მოუგო და ის მატჩი არანორმალურ პირობებში ჩატარდა. უპირველესად სენეგალელთა ქცევას ვგულისხმობთ, რომლებიც ყოველ საღავო ეპიზოდში არბიტრს მივარდებოდნენ და ეჩხუბებოდნენ, ანუ ენერგიას არასწორი მიმართულებით ხარჯავდნენ.

ჩუკვუმ ამის თაობაზე თქვა: „ჩვენ პროვოკაციას არ წამოვეგებით.“

ნიგერიელები თითქმის იმ შემადგენლობით ითამაშებენ, რომლითაც მეოთხედფინალში თასის მფლობელი კამერუნი დაამარცხეს.

ტუნისელების წინააღმდეგ შესაძლოა ფორვარდმა ჯულიან აგაოვამაც ითამაშოს, რომელმაც კამერუნთან მატჩი გამოტოვა. მარცხენა მცველის, იფეიანი უდეზეს მზადყოფნას კი ექიმები შეამოწმებენ. მას კოჭი ტკიოდა.

სენეგალთან შეხვედრამდე ტრავმები ტუნისელებსაც აწუხებდათ, მაგრამ ნიგერიასთან მატჩის წინ ჩემპიონატის მასპინძლებს ყველა დაშავებული დაუბრუნდათ. უფრო სწორად, ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავთ, თორემ ერთი-ორი სათადარიგოს ტრავმა მათთვის დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს.

ნახევარფინალის წინ ტუნისელთა ფრანგ მწვრთნელ როჟე ლემერს დისციპლინის განმტკიცებაზე გაუმახვილებია ყურადღება. თუმცა ყველაზე საინტერესო ის არის, ნიგერიელ გამთამაშებელ ჯეი-ჯეი ოკოჩაზე რაც თქვა: „ოკოჩა იმდენად ნიჭიერია, რომ მის წინააღმდეგ რამეს მოფიქრება ფაქტობრივად, შეუძლებელია. პირდაპირ ვამბობ — ჩვენ მას ვერ გავანეიტრალებთ. ერთადერთი რაც შეგვიძლია, ის არის, რომ საკუთარი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მაქსიმალური სიფრთხილე გამოვიჩინოთ და არ დავჯარიმდეთ, თორემ ოკოჩას საჯარიმოების მოგერიება ძალიან ძნელი იქნება.“

იგივე თქვა ტუნისელთა მეკარე ალი ბუმნიჟელმა, ვინაც საფრანგეთში თამაშობს და ოდინდელ პარისენჟერმენელს კარგად იცნობს: „ვერასდროს გამოიცნობ, საით ურტყამს ოკოჩა. ამას დავუმატოთ, რომ დარტყმა ძალიან ზუსტი და ძლიერი აქვს და ნათელი ხდება, რამხელა საფრთხესაც გვიქმნის ბურთთან მისი მიკარება.“

როჟე ლემერმა ნვანკვო კანუ და ჯონ უტაკაც ძლიერ აქო, თუმცა ოკოჩაზე ნაკლებად.

ტუნისელებს შეტევაში ორი არააფრიკელი ეყოლებათ — წინა მატჩებში სამი გოლის გამტანი ბრაზილიელი ფრანშილეუდო დუშ სანტუში და თურქული წარმომავლობის ზიად ჯაზირი.

ტუნისელები აქამდე ორჯერ გავიდნენ თასის ფინალში და ორჯერვე დამარცხდნენ, შეჯიბრის მასპინძლები კი მესამედ არიან.

ნიგერია, ცხადია, ბევრად ტიტულიანი გუნდია.

ეს ის ფრედერიკ კანუტია...

რისი იმედი უნდა ჰქონდეს მალის ნაკრებს მაროკოელებთან შეხვედრაში? უფრო სწორად, ვისი? პასუხის მხოლოდ ერთი ვარიანტი არსებობს — იმისი, ვინაც მალელები ნახევარფინალამდე მიიყვანა. ეს ფრედერიკ კანუტი გახლავთ.

ფიფას ახალი წესის თანახმად რომელიმე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშებ ფეხბურთელსაც აქვს ისტორიული სამშობლოს ეროვნულ გუნდში თამაშის უფლება და კანუტმა, რომელიც საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, ამ წესით ისარგებლა

სტამბულის ოთხლულიანი იარაღი

ეზაკის ოცნება მეხუთე კლასში გადავიდა

კანუტის დამსახურება კი ის არის, რომ მისმა სამმა გოლმა მალი ჯგუფში პირველ ადგილზე გაიყვანა და მეოთხედფინალში გვინეელებს გარდამტეხი გოლი შეუგდო. გვინეა იგებდა და პირველი ტაიმის წამატებულ დროში კანუტმა გაათანაბრა, რის მერეც მალელებმა საქმე სათავისოდ დაამთავრეს.

ოთხი გოლით კანუტი, კამერუნელ პატრიკ მბომასთან ერთად, შეჯიბრის თანაბომბარდირია. თუმცა მბომა მეტ გოლს ვეღარ გაიტანს. ჩემპიონატს შემორჩენილთაგან კი კანუტთან ყველაზე ახლოს ტუნისელი დუშ სანტუშია სამი გოლით.

დღევანდელი მატჩის წინ მალელთა მწვრთნელმა ანრი სტამბულიმ თქვა, როცა კანუტისთანა თავდამსხმელი გყავს, ყოველთვის უნდა გქონდეს გამარჯვების იმედი და ისიც გაითვალისწინეთ, რომ კანუტის გარდა კიდევ სამი ფეხბურთელი გვყავს გოლების გატანა რომ ეხერხებაო.

მაროკო პირველი მაღრიბული ქვეყანაა, რომელსაც მალელები ამ ჩემპიონატში ხვდებიან და სტამბულიმ ესეც კარგ ნიშნად ჩათვალა: „ჩემპიონატისთვის რომ ვემზადებოდით, სულ იმას ვჩიოდი, საკონტროლო მატჩების უმეტესობას ჩრდილოაფრიკელებთან რატომ ვატარებთ-თქო. მაგრამ ახლა საწუწუნო არაფერი მაქვს, რადგან იმ მატჩებში ჩრდილოელების თამაშის თავისებურებები კარგად შევისწავლეთ. მაროკო, ცხადია, ძალიან ძლიერია, მაგრამ ჩვენ მის წინააღმდეგ სასიკვდილო იარაღი გვაქვს“.

სასიკვდილო იარაღი, ცხადია, კანუტია, მის გარდა კი მაროკოელებს მაჰამადუ დიარასა (გვინეელებს გამარჯვების გოლი მან გაუტანა) და მოჰამედ ლამინე სისოკოზე მართებთ ყურადღების მიპყრობა.

მაროკოელთა მწვრთნელი ბადუ ეზაკი კი კვლავაც აფრიკის თასის მოგებაზე ოცნებობს. საქმე ის არის, რომ ეზაკი ფეხბურთელობისას ოთხჯერ იცავდა მაროკოელთა კარს აფრიკის თასზე და წარმატებამ ოთხჯერვე გვერდი აუარა. ახლა ის ამბობს: „თავის დროზე მე და ჩემს თანაგუნდელებს თავი არ დაგვიზოგავს თასის მოსაგებად, მაგრამ მიზეზთა გამო ვერაფერს მივაღწიეთ. ახლა, როცა აფრიკის თასზე მწვრთნელად დავბრუნდი, ძველი ოცნების ახდენის საშუალება ისევ მომეცა. ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია და ეგებ გამოცდილება გვაკლდეს, მაგრამ უზარმაზარი ენთუზიაზმით და თავდაუზოგავი მუშაობით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ოცნების ახდენასთან.“

ეზაკი მაროკოს ნაკრების მწვრთნელად 18 თვის წინ დაინიშნა და საკვალიფიკაციო ეტაპი რიხით გაიარა. ხუთი თამაში მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა, ათი გოლი გაიტანა და ერთიც არ გაუშვია. აგერ ახლა თასის ნახევარფინალსაც უწია.

თასის წინა გათამაშებაში კი, რომელიც მაროკოში გაიმართა, იქაურებს ნახევარფინალისკენ მიმავალი გზა სწორედ მალელებმა გადაუღობეს.

კოტე კეკელია

...რომელსაც მაროკოელ ფანთა გამწარება რომ შეუძლია

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტური

11 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	005	ბირმინგემი-ევერტონი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
23.45	006	ფ'ულემი-ასტონ ვილა	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
24.00	007	ბლექბერნი-ნი'უკასლი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
24.00	008	ჩარლტონი-ტოტენჰემი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
24.00	009	ლივერპ'ული-სიტი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
24.00	010	მანჩესტერი-მიდლსბრო	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	011	მანჩესტერი-მიდლსბრო 0:1	1,65	3,3	3,3			
24.00	012	პორტსმ'უთი-ჩელსი	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,08

ინგლისი. III დივიზიონი. XXVIII ტური

11 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	068	ოქსფორდი-სკანთორპი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15

შოტლანდია. პრემიერლიგა. XXIII ტური

11 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	092	დანფერმლაინი-სელტიკი	9,0	4,6	1,3	3,04	1,13	1,01
23.45	093	ჰართსი-აბერდინი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
23.45	094	მოზერ'ველი-დანდი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
23.45	095	პარტიკი-ლივინგსტონი	3,0	3,3	2,2	1,57	1,26	1,32
23.45	096	რეინჯერსი-კილმარნოკი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	097	რეინჯერსი-კილმარნოკი 0:1	1,4	3,6	4,2			

გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტური

14 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.30	013	ჰამბ'ურგი-ვოლფსბ'ურგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.30	014	შტუტგარტი-მიონხენგლადბახი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
18.30	015	ფრაიბ'ურგი-ჰერტა	1,95	3,3	3,6	1,22	1,26	1,72
18.30	016	აინტრახტი-ჰანსა	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
18.30	017	ჰანოვერი-ლევერკ'უზენი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
18.30	018	ბოხ'უმი-ბაიერნი	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
18.30	019	კიოლნი-შალკე	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37

15 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	020	ვერდერი-კაიზერსლაუტერნი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
20.30	021	მი'უნხენი-დორტმ'უნდი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4

გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური

11 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	129	ლი'უბეკი-დ'უისბ'ურგი	2,1	3,0	3,4	1,23	1,29	1,59

იტალია. სერია A. XXI ტური

14 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	022	ლაციო-ემპოლი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	023	ლაციო-ემპოლი 0:1	1,9	3,2	2,7			
23.30	024	პერ'უჯა-კიევო	2,35	2,9	3,1	1,29	1,33	1,49

15 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	025	ანკონა-რომა	7,5	4,0	1,35	2,6	1,14	1
18.00	026	ბოლონია-მოდენა	1,75	2,9	5,3	1,09	1,31	1,87
18.00	027	ბრეშა-სამპდორია	2,4	2,6	3,2	1,24	1,37	1,43
18.00	028	ინტერი-'უდინეზე	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
18.00	029	ლეჩე-მილანი	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
18.00	030	სიენა-პარმა	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42
23.30	031	ი'უვენტ'უსი-რეჯინა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	032	ი'უვენტ'უსი-რეჯინა 0:1	1,6	3,2	3,6			

ესპანეთი. I დივიზიონი. XXIV ტური

14 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	033	მ'ურსია-სევილია	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
00.30	034	სოსიედადი-ბილბაო	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64

15 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	035	მალიორკა-ალბასეტე	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
20.00	036	დეპორტივო-ოსას'უნა	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
20.00	037	მალაგა-ესპანიოლი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
20.00	038	ვალიადოლიდი-სელტა	2,3	3,0	3,1	1,3	1,32	1,52
20.00	039	ვილიარეალი-რასინგი	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
20.00	040	ბეტისი-სარაგოსა	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
22.00	041	ბარსელონა-ატლეტიკო	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
24.00	042	რეალი-ვალენსია	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXIV ტური

14 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.15	192	სოშო-ბორდო	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
23.00	193	აიაჩო-სტრასბ'ური	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	194	გენგამი-ბასტია	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
23.00	195	ლანსი-რენი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
23.00	196	ლე მანი-მარსელი	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.00	197	მონაკო-ლილი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
23.00	198	მონპელიე-მეცი	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	199	ნანტი-ნიცა	1,9	3,0	4,2	1,16	1,3	1,75
23.00	200	ტ'ულ'უზი-პსჟ	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23

15 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	201	ოსერი-ლიონი	2,15	3,2	3,2	1,28	1.28	1,6

ჰოლანდია. I დივიზიონი

11 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	241	ფეიენოორდი-ალკმაარი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.00	242	დენ ჰააგი-გრონინგენი	2,25	3,3	2,9	1,33	1,26	1,54
23.00	243	ვალვაიკი-ჰერენვენი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
23.00	244	როზენდალი-როდა	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
23.00	245	'უტრეხტი-ტილბ'ურგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72

ჰოლანდია. II დივიზიონი. XXII ტური

13 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	259	სპარტა-დენ ბოსხი	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
23.00	260	იგლსი-კამბ'ური	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
23.00	261	აპელდორნი-ჰერაკლესი	2,45	3,3	2,4	1,4	1,21	1,38
23.00	262	ჰელმონდი-ვეენდამი	1,35	4,2	7,0	1,02	1,13	2,62
23.00	263	ჰაარლემი-მაასტრიხტი	1,75	3,5	3,6	1,16	1,17	1,77
23.00	264	ვენლო-ექსელსიორი	2,6	3,4	2,25	1,47	1,2	1,35
23.00	265	სიტარდი-გრააფსხაპი	3,2	3,4	1,95	1,64	1,21	1,23
23.00	266	ემენი-ეინდჰოვენი	1,25	5,0	8,0	1	1,08	3,07

14 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	267	ტელსტარი-ოსი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94

ბელგია. I დივიზიონი. XX ტური

11 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.30	271	ლ'უვიე-ბრი'უგე	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18

ბელგია. I დივიზიონი. XXII ტური

13 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.30	272	გენკი-სტანდარდი .	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46

14 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	273	ლიერსი-მონსი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
23.00	274	ბევერენი-ვესტერლო	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
23.00	275	სტ.ტრ'უიდენი-ჰე'უსდენი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
23.00	276	ანტვერპენი-შარლერ'უა	2,25	3,3	2,9	1,33	1,26	1,54
23.00	277	ანდერლეხტი-ლოკერენი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	278	ანდერლეხტი-ლოკერენი 0:1	1,55	3,4	3,6			

15 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	279	გენტი-ბრი'უგე	2,3	3,2	2,05	1,33	1,08	1,24
18.00	280	სერკლი-მ'უსკრონი	3,0	3,1	2,3	1,52	1,3	1,32

16 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.30	281	ლ'უვიე-ბეერსხოტი	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62

შვეიცარია. სუპერ ლიგა. XIX ტური

15 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.30	296	აარა'უ-ცი'ურიხი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
17.30	297	გრასჰოპერი-ქსამაქსი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
17.30	298	სერვეტი-სტ.გალენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
17.30	299	ვილი-თ'უნი	1,95	3,3	3,4	1,22	1,23	1,67
19.00	300	იანგ ბოიზი-ბაზელი	3,4	3,3	1,95	1,67	1,23	1,22

თურქეთი. სუპერლიგა. XXI ტური

14 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.30	309	ბ'ურსა-ანკარაგი'უჯი'უ	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
15.30	310	ადანა-ელაზიგი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
15.30	311	სამს'უნი-მალათია	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
21.00	312	ბეშიქთაში-დენიზლი	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92

15 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.30	313	სებათი-ტრაბზონი	3,5	3,3	1,9	1,69	1,23	1,2
15.30	314	რიზე-ისთანბ'ული	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
15.30	315	კონია-გაზიანთეფი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
18.30	316	გენჩლერბირლიგი-გალათასარაი	3,0	3,3	2,15	1,57	1,25	1,3
21.00	317	ფენერბაჰჩე-დიარბაქირი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	318	ფენერბაჰჩე-დიარბაქირი 0:1	1,65	3,3	3,3			

ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XVII ტური

14 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.25	321	ლიბერეცი-ბანიკი	2,5	2,8	2,7	1,32	1,29	1,37

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	322	ოპავა-სპარტა	6,0	4,0	1,4	2,4	1,13	1,03
20.00	323	სლავია-ბლაჰანი	1,15	6,0	11,0	1	1,04	3,88
20.00	324	სინოტი-ბრნო	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
		15 თებერვალი						
13.15	325	ჟიკოვი-ბლაჰენი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
20.00	326	პრაიბრამი-ტეპლიცე	2,5	2,8	2,7	1,32	1,29	1,37
20.00	327	ბუდეიოვიცე-ხლინი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
		16 თებერვალი						
19.40	328	სიგმა-იაბლონეცი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
		ინგლისი. თასი. IV ეტაპი						
		11 თებერვალი						
23.45	370	ტელფორდი-მიდუოლი	5,3	3,6	1,55	2,14	1,19	1,08
		იტალია. თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები						
		11 თებერვალი						
24.00	379	ლაციო-მილანი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
		12 თებერვალი						
24.00	380	ინტერი-იუვენტუსი	2,3	3,1	2,9	1,32	1,28	1,49
		ესპანეთი. თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები						
		11 თებერვალი						
24.00	381	სევილია-რეალი	3,2	3,2	2,1	1,6	1,26	1,26
		12 თებერვალი						
24.00	382	სარაგოსა-ალავესი	1,7	3,2	4,8	1,11	1,25	1,92
		საფრანგეთი. თასი. 1/8 ფინალი						
		11 თებერვალი						
20.00	383	მონაკო-ლიონი	2,1	3,1	3,3	1,25	1,28	1,59
23.00	384	ამიენი-კაენი	2,2	2,8	3,4	1,23	1,33	1,53
23.00	385	ჭატორუ-კრეტეი	1,85	2,9	4,4	1,12	1,3	1,74
24.00	386	ტულუზი-რენი	2,35	3,1	2,8	1,33	1,27	1,47
		პორტუგალია. თასი. 1/4 ფინალი						
		11 თებერვალი						
19.00	387	ბენფიკა-ნასიონალი	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
20.00	388	ნავალი-ბრაგა	2,8	3,3	2,25	1,51	1,24	1,33
20.00	389	რიუ ავე-პორტუ	5,3	3,6	1,55	2,14	1,19	1,08
23.00	390	ბელენენსეში-ეშტორილი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საბერძნეთი. თასი						
		1/4 ფინალი. I მატჩები						
		11 თებერვალი						
22.00	391	ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი	1,2	5,0	10,0	[illegible]	[illegible]	[illegible]
		12 თებერვალი						
22.00	392	აეკ-ირაკლისი	1,4	3,8	[illegible]	1,02	1,6	[illegible]
		თურქეთი. თასი. 1/4 ფინალი						
		11 თებერვალი						
18.00	394	ტრაბზონი-კონია	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
20.00	395	გენჩლერბირლიგი-დენიზლი	2,25	3,3	2,8	1,33	1,24	1,51
22.00	396	რიზე-ფენერბაჰჩე	4,8	3,6	1,6	2,05	1,2	1,1
		ლიბერტადორესის თასი						
		11 თებერვალი						
03.45	401	ალიანსა-სან პაულუ	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
03.45	402	ტასირა-რივერ პლეიტი	4,6	3,4	1,65	1,95	1,21	1,11
06.15	403	ამერიკა-პენიაროლი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
		12 თებერვალი						
02.30	404	ელ ნასიონალი-ნასიონალი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
04.45	405	კარაკასი-სანტოსი(მექ)	3,2	3,2	2,05	1,6	1,24	1,24
04.45	406	ინდეპენდიენტე-სენსიანო	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
06.30	407	ბარსელონა-ვილსტერმანი	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
		აფრიკის თასი						
		11 თებერვალი						
19.00	408	ტუნისი-ნიგერია	2,4	2,9	2,8	1,31	1,29	1,42
22.00	409	მაროკო-მალი	2,25	3,0	3,0	1,28	1,28	1,5
		ჰოკეი. ფინეთი						
		11 თებერვალი						
20.30	1115	ლუკო-ესეტი	1,4	4,8	4,8	1,08	1,08	2,4
		რაგბი ექვსი ერის თასი						
		14 თებერვალი						
18.00	1301	საფრანგეთი-ირლანდია	1,12	20,0	5,3	1,06	1	4,18
20.00	1302	უელსი-შოტლანდია	1,22	20,0	3,8	1,14	1	3,19
		15 თებერვალი						
19.00	1303	იტალია-ინგლისი	14,0	30,0	1,01	9,54	1	1

ერიუნელი
ბიბლიოთეკა

ჩემპიონები და თასის ადგილები

9001
ინგლისი (10.02)

მანჩესტერი	1,9
არსენალი	1,9
ჩელსი	5,0

9002
გერმანია (14.02)

ბაიერნი	1,65
ვერდერი	2,5
შტუტგარტი	5,0
ლევერკუსენი	10,0

9003
იტალია (14.02)

მილანი	1,4
რომა	4.0
იუვენტუსი	5,0

9004
ესპანეთი (14.02)

რეალი	1,3
ვალენსია	3,8
დეპორტივო	7,5

9005
საფრანგეთი (14.02)

მონაკო	1,15
ლიონი	4,0
პსჟ	10,0

9006
პორტუგალია (13.02)

პორტუ	1,05
სპორტინგი	7,0
ბენფიკა	12,0

9007
ჰოლანდია (14.02)

აიაქსი	1,3
პსვ	2,8

9008
ავსტრია (21.02)

აუსტრია	1,35
რაპიდი	4,0
გრაცერი	5,0

9009
დანია (14.03)

ბრიონდბიუ	1,3
ესბიერგი	4,0
კოპენჰაგენი	5,0

9010
საბერძნეთი (14.02)

ოლიმპიაკოსი	1,6
პანათინაიკოსი	2,0
პაოკ	8,0

9011
უკრაინა (15.02)

შახტარი	1,55
დინამო	1,95

9020
ჩემპიონთა თასი (24.02)
რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს

ინგლისი	1,8
იტალია	2,5
ესპანეთი	2,9
გერმანია	9,3
საფრანგეთი	13,6

9020
ჩემპიონთა თასი (24.02)

რეალი	4,0
მანჩესტერი	4,6
იუვენტუსი	5,0
მილანი	5,0
ჩელსი	6,0
არსენალი	6,0
ბაიერნი	15,0
დეპორტივო	20,0
შტუტგარტი	25,0
მონაკო	25,0
ლიონი	30,0
პორტუ	40,0
სოსიედადი	40,0
სელტა	50,0
ლოკომოტივი	100,0
სპარტა	150,0

9022
უეფას თასი (26.02)

რომა	5,6
ვალენსია	6,0
ბარსელონა	6,0
ინტერი	6,0
ლივერპული	6,0
ნიუკასლი	8,0
პარმა	10,0
სელტიკი	12,0
მარსელი	15,0
ბორდო	25,0
მალიორკა	25,0
პსვ	25,0
ოსერი	25,0
გალათასარაი	30,0
ბრიუგე	30,0
პერუჯა	30,0
ბენფიკა	30,0
ვილიარეალი	30,0
ბეშიქთაში	30,0
სოშო	40,0
პანათინაიკოსი	40,0
რუსენბორგი	50,0
სპარტაკი	60,0
გენჩლერბირლ.	60,0
ბრიონდბიუ	60,0
გასიანთეფი	100,0
გროცლინი	100,0
ტეპლიცე	100,0
დნიპრო	100,0
ლევსკი	150,0
დებრეცენი	250,0
ვოლერენგა	250,0

9031
NHL (05.04)

კოლორადო	4,5
დეტროიტი	5,0
ფილადელფია	5,5
ვანკუვერი	6,0
ნიუ ჯერსი	6,5
ოტავა	7,0
ტორონტო	7,5
სტ.ლუისი	10,0
დალასი	12,0
ტამპა ბეი	20,0
ბოსტონი	20,0
ლოს ანჯელესი	20,0
სან ხოსე	25,0
რეინჯერსი	25,0
ატლანტა	30,0
კალგარი	30,0
ანაჰაიმი	35,0
მინესოტა	35,0
აილენდერსი	40,0
მონრეალი	50,0
ედმონტონი	60,0
ფინიქსი	60,0
კაროლინა	75,0
ჩიკაგო	75,0
ნეშვილი	75,0
ბუფალო	100,0
ფლორიდა	100,0
კოლამბუსი	125,0
პიტსბურგი	125,0
ვაშინგტონი	125,0

9032
NBA (15.04)

ლეიკერსი	1.65
საკრამენტო	4,5
სან ანტონიო	5,0
დალასი	8,0
ინდიანა	10,0
დეტროიტი	12,0
მინესოტა	12,0
ნიუ ჯერსი	15,0
ნიუ ორლეანი	25,0
ფილადელფია	40,0
ჰიუსტონი	50,0
ბოსტონი	60,0
დენვერი	60,0
ნიუ იორკი	60,0
პორტლენდი	60,0
ტორონტო	60,0
სიეტლი	75,0
იუტა	75,0
მილუოკი	75,0
გოლდენ სტ.	100,0
მემფისი	100,0
ფინიქსი	100,0
კლიპერსი	150,0
ორლანდო	150,0
მაიამი	200,0
ატლანტა	250,0
ვაშინგტონი	250,0
ჩიკაგო	250,0
კლივლენდი	300,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5305	ბირმინგემი-ევერტონი	1,75	1,85
5306	ფულჰემი-ასტონ ვილა	1,7	1,9
5307	ბლეკბერნი-ნიუკასლი	1,7	1,9
5308	ჩარლტონი-ტოტენჰემი	1,7	1,9
5309	ლივერპული-სიტი	1,75	1,85
5310	მანჩესტერი-მიდლსბრო	1,8	1,8
5312	პორტსმუთი-ჩელსი	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5205	ბირმინგემი-ევერტონი	1,7	1,9
5206	ფულჰემი-ასტონ ვილა	1,8	1,8
5207	ბლეკბერნი-ნიუკასლი	1,85	1,75
5208	ჩარლტონი-ტოტენჰემი	1,85	1,75
5209	ლივერპული-სიტი	1,9	1,7
5210	მანჩესტერი-მიდლსბრო	1,95	1,65
5212	პორტსმუთი-ჩელსი	1,9	1,7

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5005	ბირმინგემი-ევერტონი	2,4	2,05	4,4	1,1	1,55	1,39
5006	ფულჰემი-ასტონ ვილა	2,4	2,1	4,2	1,12	1,52	1,4
5007	ბლეკბერნი-ნიუკასლი	3,5	2,1	2,9	1,28	1,34	1,21
5008	ჩარლტონი-ტოტენჰემი	2,5	2,1	3,8	1,14	1,5	1,35
5009	ლივერპული-სიტი	1,95	2,25	5,6	1,04	1,44	1,6
5010	მანჩესტერი-მიდლსბრო	1,45	3,2	7,0	1	1,2	2,19
5012	პორტსმუთი-ჩელსი	5,6	2,3	1,9	1,63	1,41	1,04

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი წაგებულად ჩაითვლება)

5405	ბირმინგემი-ევერტონი	1,7	2,2
5406	ფულჰემი-ასტონ ვილა	1,75	2,1
5407	ბლეკბერნი-ნიუკასლი	1,95	1,85
5408	ჩარლტონი-ტოტენჰემი	1,75	2,1
5409	ლივერპული-სიტი	1,45	2,8
5410	მანჩესტერი-მიდლსბრო	1,25	3,7
5412	პორტსმუთი-ჩელსი	2,8	1,45

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5105	ბირმინგემი-ევერტონი	2,9	10,0	20,0	3,8	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5106	ფულჰემი-ასტონ ვილა	2,9	10,0	20,0	3,8	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5107	ბლეკბერნი-ნიუკასლი	3,8	10,0	20,0	4,8	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
5108	ჩარლტონი-ტოტენჰემი	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5109	ლივერპული-სიტი	2,2	10,0	20,0	3,4	4,6	9,0	20,0	10,0	8,0
5110	მანჩესტერი-მიდლსბრო	1,5	15,0	30,0	3,5	5,6	17,0	25,0	17,0	17,0
5112	პორტსმუთი-ჩელსი	8,5	10,0	20,0	9,0	4,8	3,4	20,0	10,0	2,1

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი წაგებულად ჩაითვლება)

5505	ბირმინგემი-ევერტონი	3,0	2,8	2,0
5506	ფულჰემი-ასტონ ვილა	3,0	2,8	2,0
5507	ბლეკბერნი-ნიუკასლი	3,0	2,8	2,0
5508	ჩარლტონი-ტოტენჰემი	3,0	2,8	2,0
5509	ლივერპული-სიტი	3,0	2,8	2,0
5510	მანჩესტერი-მიდლსბრო	3,0	2,8	2,0
5512	პორტსმუთი-ჩელსი	3,0	2,8	2,0

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

14.02	18.30	6002	გერმანია ბლ (XX)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
14.02	21.00	6003	იტალია A (XXI)	23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
14.02	22.30	6004	ესპანეთი Iდ (XXIV)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
14.02	20.15	6005	საფრანგეთი Iდ (XXIV)	21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
13.02	01.30	6006	პორტუგალია სლ (XXII)	22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9

ერთიანი ბიუროთა

ბიუროთა

სარგებელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური

საქართველო — პორტუგალია

15 თებერვალი. თბილისი. «ლოკომოტივი». 16 საათი

პორტუგალიასთან საკვირაო შეხვედრის წინ ხუთი დღით ადრე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სრულფასოვან შეკრებაზე გადავიდა. ბორჯღალოსნები მცხეთაში დაბინავდნენ, სავარჯიშოდ კი „ლოკომოტივზე" დადიან. გუშინაც გეგმით რკინიგზელთა სათადარიგო მოედანზე უნდა ევარჯიშათ, თუმც წვიმის გამო მხოლოდ ვაკის პარკში ძუნძულით შემოიფარგლნენ. განაცხადში შეყვანილი 22 კაცის მხარდამ-



დავით ჩავლეიშვილი

ძველი გვარდია არ ღელავს

ლეგიონერები მშვიდად იცდიან

ხარ ნაკრების ათამდე კანდიდატმაც ირბინა. ვაკის ვარჯიშები კვირის ბოლომდე ყოველდღე საღამოობით გაიმართება. სავარჯიშო ფორმაში იყო მსუბუქად ტრავმირებული ირაკლი მაჩხანელიც, მაგრამ გასახდელში მაინც ყველა ზე ადრე დაბრუნდა, დაშავებულმა ფეხმა ბოლომდე დატვირთვის საშუალება არ მისცა. მაჩხანელს მალე მთელი ნაკრები მოჰყვა

რესპონდენტებად ლეგიონერები ავირჩიეთ, თუმც მანამდე მცირე კომენტარის გაკეთება ერთ-ერთ მწვრთნელს **დავით ჩავლეიშვილს** ვთხოვეთ.

— ვარჯიში წვიმამ გადაგაფიქრებინათ?

— დიახ, მაგრამ ხვალ საღამოს ამაზე დიდი ტალახიც ხომ იყოს, მაინც სრული დატვირთვით ვივარჯიშებთ.

— ტრავმების მხრივ როგორაა საქმე?

— ერთადერთ პრობლემად მაჩხანელის ფეხი რჩება, მაგრამ იმედი გვაქვს, მოურჩება. ალბათ უახლოეს დღეებში სრულ დატვირთვასაც შეძლებს.

ლეგიონერთაგან პირველი **მალხაზ ურჯუკაშვილი** მოვიხელთეთ:

— ახალი გუნდი ყალიბდება. როგორია პირველი შთაბეჭდილება?

— ეროვნულში თამაში ყველასთვის დიდი პატივია, მით უმეტეს, ამ ახალგაზრდებისთვის. მათ გვერდით მეც ორმაგად მონდომებული ვიქნები.

— ნაკრებში ბევრი ახალი სახეა და ამას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს...

— შეუთამაშებლობას გულისხმობთ? ეს პრობლემა მალე მოგვარდება. შეიძლება, პირველსავე თამაშებში ისე შეკრულები ვერ ვიყოთ, როგორც საჭიროა, მაგრამ ამ ნაკლს მონდომებით და თავდადებით ავანაზღაურებთ.

— ახალი მწვრთნელები სორელის ტაქტიკის შეცვლას აპირებენ და აქცენტი ფიზიკურ მხარეზე გადააქვთ. ამის შესახებ უკვე გითხრეს?

— ჯერ არ გვილაპარაკია. ტაქტიკურად გამორჩეულები არასოდეს ვყოფილვართ, ყოველთვის ფიზიკით გავდიოდით ფონს. ასე რომ, სახიფათოს ვერაფერს ვხედავ. არც კლოდის წასვლით დატრიალებულა დიდი ტრაგედია. ბოლოს და ბოლოს ის ბიჭები დაბრუნდნენ, რომელთაც სორელის გუნდში თავიანთი ძალის დამტკიცება არ შეეძლოთ. მათ ნაკრების გაძლიერება ნამდვილად ძალუძთ. იმედია, ის რეგრესი, რომელიც ერთა თასის მოგების შემდეგ ნაკრებს დაეწყო, ახლო მომავალში აღმასვლით შეიცვლება.

— რის ხარჯზე უნდა მოვუგოთ ერთა თასის მფლობელს?

— მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალია შარშანდელი გამარჯვებულია, თუნდაც ამ გუნდით დაუმარცხებლად სულაც არ მიმაჩნია. მათთან ყოველთვის დამაჯერებლად ვიგებდით. შარშან კი ზედმეტმა თავდაჯერებულობამ დაგვლუპა. კვირას პორტუგალიელებს აუცილებლად უნდა გავცეთ საკადრისი პასუხი.

ზურაბ მჭედლიშვილი

— პორტუგალიასთან თამაშით ფაქტობრივად იმ ახალი გუნდის მშენებლობა იწყება, რომელმაც 2007 წლის მსოფლიოს თასზე მოსახვედრად უნდა იბრძოლოს. ახალ მწვრთნელებს და ახალგაზრდებს იმედით ვუყურებ და მჯერა, მოლოდინი გამართლდება. ახლა მთავარია, შედეგი თავიდანვე გამოჩნდეს. პორტუგალია კარგი გუნდია და ვიცი, რომ თბილისური თამაშისთვის მთელი სერიოზულობით ემზადება. იქაური მიმომხილველების აზრით, საქართველო ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტია და ამ თამაშის მოსაგებად ცდას არ დააკლებენ.

— შევიტყვეთ, რომ პირველი მატჩის შემდეგ საფრანგეთში ბრუნდები...

— მართალია. საკლუბო დონეზე ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მაქვს და მას აუცილებლად უნდა ჩავუსწრო. სავარაუდოდ, ესპანეთში ნაკრები უჩემოდ ითამაშებს. იმედია, ამით არაფერი დაშავდება.

დავით ხინჩაგაშვილი

— მთავარია, დარჩენილ დღეებში ერთმანეთში შევთამაშდეთ. თუ ეს მოვახერხეთ, შედეგიც იქნება.

— „ბეზიედან" გამოშვებაზე პრობლემები ხომ არ გქონია?

— ამჯერად ყველაფერი მშვიდად მიიღეს და უსიტყვოდ გამომიშვეს.

ბესიკ უდესიანი

— ახალი ნაკრები კი ყალიბდება, მაგრამ მასში ბევრი ისეთი სახეა, ვისთან ერთადაც წლები მითამაშია. გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა და ყველა მხოლოდ გამარჯვების სურვილით ვართ ანთებულები. ქართველი მწვრთნელების დანიშვნასაც იმედით ვუყურებ. უფრო ადვილად გავუგებთ ერთმანეთს.

ირაკლი მოდებაძე

— ეროვნული ნაკრების სათავეში ვინ იქნება, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. პროფესიონალმა მოთამაშემ ყველას უნდა დაუჯეროს და ყოველთვის ბოლომდე დაიხარჯოს.

— შეუთამაშებლობაზე რაღას იტყვი?

— მართალია, 7 წელია, საქართველოში აღარ ვთამაშობ, მაგრამ ამ ახალგაზრდებს მაინც ვიცნობ. ვიცი მათი შესაძლებლობები და არა მგონია, ეს პრობლემა მალევე არ მოგვარდეს. ჩვენ ყველაფერი თავიდან გვაქვს დასამტკიცებელი და საამისოდ თავს არ დავზოგავთ.

— მსოფლიოს თასის მსგავსად, ორიგინალური ვარცხნილობით პორტუგალიასთანაც ხომ არ გაგვაკვირვებ?

— არა, ეგ გამორიცხულია, მაგრამ თუ ძირითადში მოვხვდი, ერთ სიურპრიზს მაინც გპირდებით.

— რას?

— კვირას გაიგებთ.

ოთარ მალლაკელიძე



მალხაზ ურჯუკაშვილი



ირაკლი მოდებაძე

შარშანწინდელი თუ გასწორვით?

გურიელი VS აზმაიფარაშვილი გრძელდება

ბაზრი ჯიმშელაძის ფოტოები

ნინო გურიელსა და ზურაბ აზმაიფარაშვილს შორის კონფლიქტი მწიფდება

საჭადრაკო სამყაროში დენთის სუნი დატრიალდა. ფედერაციის ახლანდელ პრეზიდენტ ნინო გურიელსა და თანაპრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ წლების წინ წარმოიშვა. მაშინ მთავარი თანამდებობა ამზაიფარაშვილს ეკავა და მალე სკამის გურიელისთვის დათმობა მოუხდა. ახლა კი შესაძლოა ყველაფერი პირიქით მოხდეს.

სიტუაცია არცთუ წათელია, მაგრამ შევეცდებით მაქსიმალურად ნათლად დაგიხატოთ.

ყოველი წლის ბოლოს ფედერაციის პრეზიდენტი ვალდებულია გამგეობას საანგარიშო მოხსენება ჩააბაროს. 2003 წლის ბოლოს თურმე ეს არ მომხდარა და გამგეობას სიტუაციის გასარკვევად სპეციალური კომისია შეუქმნია. დასკვნით „ხელდამშვენებულმა" თანაპრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა გუშინ გამგეობა შეკრიბა და ნინო გურიელს მთელ რიგ დარღვევებში დასდო ბრალი. დაკონკრეტებისგან მართალია თავი შეიკავა, მაგრამ პრეზიდენტის სასწრაფოდ გადადგომა კი მოითხოვა. კულუარული ინფორმაციით საუბარი ფინანსურ დარღვევებსა და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზეა. „თუ გურიელი თანამდებობას არ დატოვებს, მაშინ მე გადავდგები" — თქვა თანაპრეზიდენტმა. მოგვიანებით კი გამგეობასა და პრეზიდენტთან შეთანხმების შემდგომ რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას დათანხმდა.

ყრილობა 7 მარტისთვის დაიგეგმა.

ნინო გურიელს კი შევეხმიანეთ კომენტარის გასაკეთებლად, მაგრამ ინტერესის დაკმაყოფილებას დღეისთვის დაგვპირდა.

— ქალბატონო ნინო, თუ შეიძლება, გაგვარკვიეთ, რა ხდება...

— ყველაფერს ხვალ გეტყვით, სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

— მანამდე იქნებ ის მაინც გვითხრათ, რაზე იქნება საუბარი?

— ხვალ, სამ საათზე, ჭადრაკის სასახლეში.

— ზოგად ინფორმაციასაც ვერ გვეტყვით?

— მასმედიის მიერ არასწორი ინტერპრეტაცია გაკეთდა.

— თანამდებობაზე რჩებით თუ არა?

— რა თქმა უნდა!

ოთარ მალლაკელიძე

საქართველოს ჩემპიონატი

10 თებერვალი. ვერის ბაღი

დინამო 91:68 თსუ

19:26, 29:18, 22:17, 36:17

დინამო: ულენტი (9), ტუღუში (19), გოგობერიშვილი (16), კეიდია (15), მუშკუდიანი (6); მინაშვილი (10), ხოშტარია (6+), ბეჟანიშვილი (4), აბულაძე (3), ლოსაბერიძე (3), ჩუბინიძე

თსუ: თორთლაძე (5), ი. მაისურაძე (2), ორმოცაძე (5), ნაცვლიშვილი (11), შენგელია (6); კოკოლიშვილი (14), აბრამიძე (15), ვეფხვაძე (6), ფანჩულიძე (4), სანიკიძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

სტუ 128:81 სსუ

34:23 24:13 25:32 45:13

სტუ: ნიკოლაძე (22), ახალკაცი (14), მარკოიშვილი (12), მიქაძე (12), ხეცურიანი (18), დავითულიანი (12), გაგნიძე (10), ჯაფარიძე (8), ლ. შანიძე (8), ქისტაური (6), ოგანესიანი (4), ბაბიაშვილი (2)

სსუ: ერქვანია (25), სორდია (16), ზანგურაშვილი (15), მიქაბერიძე (9), კანკია (11), ფარღალავა (3), კორძაძე (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

10 თებერვალი. რუსთავი

რუსთავი 111:55 ქუთაისი

22:10 34:13 33:15 22:17

რუსთავი: ტყეშელაშვილი (6), ბერუაშვილი (24), ჩაჩუა (24), ჯიმშელეიშვილი (15), არწივიძე (14), დანელიანი (14), ტაველაშვილი (7), ლიპარტელიანი (4), ჭოჭუა (3), გაბისონია, გოგილაშვილი

ქუთაისი: კოლუაშვილი (15), პირტახია (15), ნ. შანიძე (8), შავლაყაძე (7), ცერცვაძე (4), ნიჟარაძე (4), ნარსია (2), მამისეიშვილი, ფურცხვანიძე

მსაჯები: დავით ანდრიაძე, ზაზა ლოლიშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

„დინამომ“ კახა შენგელია ალყაში მოაქცია

რა პოტენციალ ცივდება...

თსუ-ს თვითგამორკვევის პროცესი გაუგრძელდა

ეროვნული ჩემპიონატის წამყვანი მწვრთნელები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდზე ყოველთვის მოკრძალებით ლაპარაკობენ, თსუ-ს ანგარიშს ყველა უწევს, მაგრამ სტუდენტების „დიდი პოტენციალის“ გამოვლენის პროცესი ცოტა არ იყოს, გაიწელა. კი, ბატონო, თსუ-ს ჰყავს გამოცდილი და მრავალ ფინალში გამობრძმედილი ხალხი, მაგრამ მათ ამ სეზონში ჯერ ერთი პრინციპული შეხვედრაც ვერ მოიგეს. გუშინ კი სულაც თავი მოეჭრათ „დინამოსთან“.

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე სტუდენტების გამოცდილმა მეფარე ამროსი ორმოცაძემ სწორედ შენიშნა, თუ მოგება გვინდა, „დინამოს“ სისწრაფეში არ უნდა ჩავრჩეთო. ალბათ ამიტომაც იყო, რომ თსუ-ს მწვრთნელი გია ჯავახიშვილი პირველ მეოთხედში მალომალ ცვლიდა მოთამაშეებს და სწორედ ამ დროს ულხინდათ მის შეგირდებს. თუმც თსუ-ს დაწინაურება უფრო დინამოელთა უიღბლობის ბრალია, რომლებმაც საწყის ათწუთიულში არაერთი სროლა გააცუდეს.

საერთოდ, ეს გუნდები ჩუბინი მსროლელებით არიან ცნობილნი და ერთმანეთის დაზვერვის შემდეგ სამქულიანების ლაწა-ლუწი ატეხეს. თუმც სროლათა უმეტესობა მიზანს სცდებოდა და ვინც ოდნავ ზუსტი აღმოჩნდა — და ეს იყო თსუ — მოიგო კიდეც საწყისი მეოთხედი. გამოსარჩევია სათადარიგო ნიკა ვეფხვაძის წყვილი სამქულიანი, რის შემდეგაც სტუდენტები 17:10 დაწინაურდნენ, მეოთხედი კი 19:26 მოიგეს.

მცირე შესვენების შემდეგ მოედანზე დინამოელთა სნაიპერები გამოვიდნენ, თუმც ვაკო ბეჟანიშვილს არ გაუმართლა, რამაზ გოგობერიშვილმა კი მიჯრით მიითვალა სამქულიანები, ამას შურდულგარღვევაც მოაყოლა და „დინამომ“ ორწუთნახევარი 13:0 მოიგო. თსუ-მ „დინამოს“ მისსავე იარაღით შეუტია, მაგრამ პერიმეტრიდან ბურთი ნაცარში ჩაუვარდა. მალე მოედანზე გამოჩნდა ტრავმამოშუშებული ირაკლი ხოშტარია, რომელმაც კარგად აუბა მხარი ირაკლი კეიდიას და „დინამომაც“ 10-ქულიანი უპირატესობა იოლად მიიტანა დიდ შესვენებამდე.

დასვენებულმა სტუდენტებმა ენერგიულად შეუტიეს დინამოელებს და ეტყობა იფიქრეს, ამხელა კაცი, კახა შენგელია გვყავს და ბოლოს და ბოლოს სამწამიანში ვერ უნდა ვაჯობოთ გამხდარი მეფარეების მყოლი დინამოელებსო. იფიქრეს და კალათის ნაცვლად ბურთს მოწინააღმდეგის სამწამიანში ისროდნენ, სადაც მას შენგელია ხან იღებდა, ხან ვერა და ქულებსაც ასეთივე ალბათობით იხვეჭდა. დინამოელები შეუპოვრად ეჯაჯგურებოდნენ თსუ-ს ახმახ ცენტრს, ბურთებსაც ბლომად აფუჭებინებდნენ და თამამადაც ჯარიმდებოდნენ მასზე. შენგელია რომ ცუდად ესროდა საჯარიმოებს კი ვიცოდით, მაგრამ გუნიძე მოედნიდან გაიყვანა და მუშკუდიანთან ერთად თამაშში დააბრუნა რამაზ გოგობერიშვილიც. ეს იყო და „დინამომ“ სიჩქარე აკრიფა, გოგობერიშვილმა თითქმის ყველა პოზიციიდან ჩაგდო, მიჯრით შინ მაინც დიდი უზუსტობა გამოიჩინა — ექვსივე გააცუდა.

შენგელიას ამაო ფარქვეშა ვაინაჩრობის მიუხედავად, თსუ-მ მაინც გამონახა „დინამოს“ წამოწევის საშუალება. უფრო სწორად, ბრაიკოვიჩის გუნდმა აურია მანამდე დალაგებული თამაში, მიზანი წაუხდა და სტუდენტობას მიახლოების საშუალება მისცა.

თსუ ხუთ ქულამდე მიუახლოვდა „დინამოს“ და ბრაიკოვიჩის მოთმინების ფიალაც აქ აივსო. ხორვატმა წუთშესვენება აიღო, მისი აზრით, გზააბნეული ზურაბ ჩუბინიძე მოედნიდან გაიყვანა და მუშკუდიანთან ერთად თამაშში დააბრუნა რამაზ გოგობერიშვილიც. ეს იყო და „დინამომ“ სიჩქარე აკრიფა, გოგობერიშვილმა თითქმის ყველა პოზიციიდან ჩაგდო, მიჯრით მიითვალა 8 ქულა, რამაც უკანასკნელი მეოთხედის წინ გამარჯვებულის ვინაობა თითქმის გაარკვია — 61:48 „დინამოს“ სასარგებლოდ.

თუ სტუდენტები თამაშის შემობრუნებას აპირებდნენ, მატჩის განახლებისთანავე უნდა დაეწყოთ ანგარიშის გაქვითვაზე ფიქრი, მაგრამ საქმით ვერ დაამტკიცეს, რომ ამის უნარი შესწევდათ. „დინამომ“ მოედანზე სამარქაფო ლოსაბერიძე და მინაშვილი შემოიყვანა, რომლებიც ქულებზე დამშეულებივით ჩაერთვნენ თამაშში. მეოთხე მეოთხედის საწყისი ხუთწუთიული „დინამომ“ 13:3 მოიგო, 20-ქულიანი ლიდერობა დაიბევა და სტუდენტებიც ადრიანად შეეგუენ მორიგ პრინციპულ მეტოქესთან უიმედო მარცხს.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

მალე პლეი ოფი მოვა

„დენვერის“ კარგი ტონი, კარმელო ენტონი

9 თებერვალი

დენვერი 86:83 მემფისი

დენვერი: მილერი (20), ლენარდი (10), ენტონი (20 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი), ნენე (14 ქულა, 11 მოხსნა), ელსონი (2); ვაიტი (7), ბოიკინსი (7), ანდერსენი (4), ბერი (2)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

მემფისი: უილიამსი (11, მილერი (9), პოუზი (4), გასოლი (12), რაიტი (8); ბეტიე (13), აუთლოო (10), სვიფტი (7), ჯონსი (5), უოტსონი (4), ველსი

ჰიუსტონი 82:85 სან ანტონიო

ჰიუსტონი: მინგი (25), ფრენსისი (18 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)

სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება)

კლივლენდი 97:89 ბოსტონი

კლივლენდი: ჯეიმსი (24), ილგაუსკასი (18 ქულა, 16 მოხსნა)

ბოსტონი: პირსი (32)

ატლანტა 102:96 დალასი

ატლანტა: ჯეკსონი (32), აბდურ-რაჰიმი (27 ქულა, 10 მოხსნა)

დალასი: ფინლი (24), ნოვიცკი (23 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (14 ქულა, 11 პასი)

პლეი ოფის საგზურს მუქთად არავინ თმობს, მით უმეტეს, ამ საგზურის მაძიებლებით მჭიდროდ დასახლებულ დასავლეთში. „დენვერსაც“ კიდევ არაერთი ბრძოლა გადახდება და კიდეე ბევრ უშუალო მეტოქესთან მოუწევს შებმა. სტიმულიც საკმარისად თვალსაჩინო აქვს, რათა ყოველ შემხვედრს უშეღავათო ბრძოლა გაუმართოს — „ნაგიტსი“ 1995 წლის შემდეგ არ ყოფილა პლეი ოფში.

„დენვერმა“ ამ ციებ-ცხელებაში ერთი კარგი თვისებაც გამოიმუშავა — წაგებებს არ ეჩაგვრინება და ყოველგვარი დათრგუნვის გარეშე თამაშობს შემდეგ შეხვედრას. ახლაც „მემფისთან“ ისე ბურთაობდნენ კოლორადოელები, სულ არ ახსოვდათ საკრამენტოში 23-ქულიანი მარცხი. უშუალო კონკურენტ „მემფისს“ ყოველგვარი უსარგებლოლ დაძაბულობისაგან განთავისუფლებულები შეებნენ და 47 ჩვეულებრივი და 48-ე ნერვების თამაშიანი წუთიც უდრტვინველად ებურთავნენ.

„დენვერის“ გამთამაშებელმა ანდრე მილერმა „საკრამენტოს“ ქულა ვერ ჩაუგდო, „მემფისთან“ კი მას ეს აღარც ახსოვდა, მარჯვედ უძღვებოდა თავისიანთა შეტევებს — 20 ქულა თავის წილად მიითვალა და ექვსიც პასი გაახერხა.

თავისთავად გვესიამოვნებოდა პლეი ოფისკენ დაძრული „დენვერის“ ამ საზეიმო აღლუმში ნიკა ცქიტიშვილიც რომ გარეულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დენვერში მას ვეღარავინ ამჩნევს — თითქოს მოედიდან გადავიდაო. ახლა კოლორადოს ზემო ხეობაში სხვაა მოდაში, იქაური პრესა კარმელო ენტონიზე აცხობს წერილებს და ისე ჩანს, მისი ვარსკვლავი წლებს გაუძლებს. ეს ჯეელი სტაბილურად აგროვებს ორ ათეულ ქულას თითქმის ყოველ თამაშში. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, უკვე ვარსკვლავია და მალე „დენვერისთვის“ ისეთ მოთამაშედ იქცევა, როგორიც აივერსონი „ფილადელფიისთვისაა“ ანაც კობი ბრაიანტი „ლეიკერსისთვის“.

ხოლო ცქიტიშვილი რეალურად „ნაგიტსის“ სათადარიგო მოთამაშეა, ამავე დროს დენვერში ჯერაც არ გახუნებულა 213-სანტიმეტრიანი ქართველის ნბა-ს კალიბრის მოთამაშედ ქცევის იდეა.

„ნაგიტსმა“ შინ ზედიზედ მეცამეტედ დაამარცხა „გრიზლიზი“ და თუმც 9 თებერვალს კიდევ ერთმა ახლო კონკურენტმა, ჰიუსტონმაც წააგო, „დენვერი“ მაინც ვერ აბრუნდა „თავის“ მეექვსე ადგილზე დასავლეთის კონფერენციაში, კვლავ მერვეა. ეგაა, ჯერ არც უფრო ქვევით ჩავარდნის საფრთხე ემუქრება — ქვედა მდევრებს „იუტასა“ და „პორტლენდს“ სოლიდურად უსწრებს.

კოტე ყორშია

აღმოსავლეთი			
ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	29	20	59,2
ნიუ იორკი	25	27	48,1
ბოსტონი	23	30	43,4
მაიამი	21	31	40,4
ფილადელფია	21	31	40,4
ვაშინგტონი	16	33	32,7
ორლანდო	13	40	24,5
ცენტრალური			
ინდიანა	38	14	73,1
დეტროიტი	33	19	63,5
მილუოკი	27	23	54,0
ნიუ ორლეანი	27	24	52,9
ტორონტო	24	25	49,0
კლივლენდი	20	32	38,5
ატლანტა	18	35	34,0
ჩიკაგო	14	37	27,5

დასავლეთი			
შუა-დასავლეთი			
მინესოტა	35	15	70,0
სან ანტონიო	35	18	66,0
დალასი	32	19	62,7
ჰიუსტონი	29	22	56,9
მემფისი	29	22	56,9
დენვერი	30	23	56,6
იუტა	25	26	49,0
წყნარი ოკეანე			
საკრამენტო	34	13	72,3
ლეიკერსი	30	18	62,5
პორტლენდი	23	25	47,9
სიეტლი	24	25	49,0
კლიპერსი	22	27	44,9
გოლდენ სტეიტი	21	28	42,9
ფინიქსი	18	35	34,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

პორტლენდმა გიჟი მოიშორა

„პორტლენდმა“ წლების განმავლობაში ნაგროვები ორთქლი გამოუშვა — შლეგი რაშიდ ვოლესის მორჯულება რომ ვეღარ შეძლეს, გუნდის ბოსებმა აიღეს და „ატლანტაში“ გაუშვეს. ეს იყო შუა სეზონში შემდგარი უმსხვილესი ტრეიდი. „პორტლენდმა“ 211-სანტიმეტრიანი ფორვარდ-ცენტრი და მასთან ერთად ვესლი პერსონი „ატლანტა ჰოქსში“ გაუშვა და სანაცვლოდ „ქორების“ ლიდერი შარიფ აბდურ-რაჰიმი, ძირითადი ცენტრი თეო რეთლიფი და ხურდაში დან დიკაუ მიიღო.

ეს მესამე გაცვლა იყო, რომელიც „პორტლენდმა“ სეზონის მიმდინარეობისას განახორციელა, მანამდე „ბლეიზერსმა“ „კლივლენდიდან“ დარიუს მაილზი გადმოიყვანა ჯეფ მაკინსის სანაცვლოდ და კიდევ უფრო ადრე ბონზი ველსი „მემფისს“ დაუთმო აწ „ატლანტაში“ გაშვებული ვესლი პერსონის მაგივრად.

ყველა ცვლილება დროული იყო, ამ ბოლო წლებში ნერვოზიანი და მარიხუანის მქაჩველი ძველი ბიჭებით გადავსებულ „პორტლენდს“ განმუხტვა სჭირდებოდა და ბოლოს და ბოლოს ზოგიერთი მათგანი ასე მოიშორა.

გაშვებულებში ყველაზე გადარეული მაინც ვოლესია, რომელიც ნბა-ს ყველა დროის რეკორდსმენია ტექნიკურების კრეფაში. არავინ დაობს, რომ მან მსაჯებთან მუდმივ ჯაჯღანში თავისი საკალათბურთო ნიჭი გაანელა. ტიმ დანკანზე და კევინ გარნეტზე არანაკლებ ნიჭიერმა მოთამაშემ ცხრა სეზონში ოდენ ორ ოლ სტარში თამაში მოასწრო და ახლა დაღმა მიაქანებს თავის ნერვიულ კარიერას. „პორტლენდმა“ მოასწრო და კარგად გაცვალა, სანამ ვოლესის ფასი დაეცემოდა.

ვოლესის ნაცვლად „პორტლენდში“ მისული აბდურ-რაჰიმი მშვენიერი კომპენსაციაა. შარიფი თავადაც ორგზის ოლსტარელია, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროს მომგებ აშშ-ს ნაკრების სკამზე იჯდა და, რაც მთავარია, ყველა წესიერ ბიჭად იცნობს. მთლად მეგავარსკვლავი არაა, მაგრამ სადაც თამაშობდა, „ვანკუვერ გრიზლიზშიც“ და „ატლანტა ჰოქსშიც“ ლიდერი იყო. ახლა ის თუ კარგად დაისწავლის „პორტლენდში“ თავის როლს და 20-ქულიან თამასას დაბლა არ ჩამოსწევს, თავადაც იხეირებს და ახალ გუნდსაც ახეირებს. აბდურ-რაჰიმს არასდროს უთამაშია ნბა-ს პლეი ოფში, მარტო მან ვერც „ვანკუვერი“ დასძრა ცხრილის ფსკერიდან და ვერც „ატლანტა“, თუმც „პორტლენდი“ ვინმეს კისერზე ჩამოკიდებას არ აპირებს. ამ გუნდს ხელის წაშველება სჭირდება და შარიფის სახით დროული დამხმარე ძალა იპოვა.

ის ორი სხვაც ზრდილი ბიჭია. თეო რეთლიფმა იქნებ „ბლეიზერსის“ დამწყებ ხუთეულშიც მოიპოვოს ძირითადი ცენტრის ადგილი. ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო შეიზღუდება „პორტლენდის“ ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია. თავად ვოვასაც სურდა სადმე სხვაგან გადასვლა, თუმც მის გაცვლაზე ჯერ ჩამიჩუმი არ ისმის. ჩანს, „პორტლენდი“ მხოლოდ შფოთისთავების გაშვებითაა დაინტერესებული და დაკავებული.

კოტე ყორშია



რაშიდ ვოლესი



შარიფ აბდურ-რაჰიმი

ნაკრები არა, ისა
საკალათბურთო ქვეყნებს კუბანიზმი ემუქრება

ოლიმპიადის მოახლოება ნბა-შიც იგრძნობა. კლუბების მეპატრონეებმა წუწუნი დაიწყეს, ოლიმპიადაზე ჩვენი წამყვანი მოთამაშეების თამაში ხელს არ გვაძლევს, რაკილა იქ დამტვრევის შემთხვევაში დიდ ზარალს ვნახულობთო. ტრადიციულად ყველაზე მეტს „დალას მავერიკსის“ ექსცენტრიკული მფლობელი მარკ კუბანი კიჟინებს და თავის მოთამაშეებს ათენში წასვლის შემთხვევაში გუნდიდან გაგდებით ემუქრება.

„არჩევანს მაშინ აკეთებ, როცა კონტრაქტს დებ გუნდთან — ხმამაღლა მსჯელობს კუბანი — ჩვენ ყველამ გავაკეთეთ ეს არჩევანი. კონტრაქტს არავის დავარღვევინებ. თუკი ვინმე თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაშს აპირებდა, მაშინ კლუბთან კონტრაქტი არ უნდა გაეფორმებინა, მაგრამ ვინც არჩევანი გააკეთა, კეთილი ინებოს და კონტრაქტი შეასრულოს. თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ მოთამაშეები ნაკრებებთან კონტრაქტით არ არიან დაკავშირებულები. ოლიმპიადაზე ძალიან დიდია ტრავმის მიღების საფრთხე. თუ მოთამშე, ვთქვათ, კანადის ნაკრების ლიდერია („დალასის“ გამთამაშებელ სტივ ნეშს გულისხმობს) და იმ ნაკრებში ერთადერთი ნორმალური მოთამაშეა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ის მეტოქეთა მთავარი სამიზნე იქნება. და თუ მას რამე შეემთხვა, ვინ ამინაზღაურებს ამას? აი, ოლიმპიადის საკვალიფიკაციოში ედუარდო ნახერამ (მექსიკის ნაკრების ლიდერი) მეტოქესთან იჩხუბა და დაშავდა. რატომ უნდა ვზღო მე ეს დანაკარგი?“

ერთი სიტყვით, კუბანი ჩვეულად ბობოქრობს, ისევე როგორც ორი წლის წინ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე დირკ ნოვიცკის გაშვებაზე ატეხა ერთი ამბავი (ნოვიცკიმ გერმანიას ბრინჯაოს მედალი მოაპოვებინა).

კუბანი განსაკუთრებით უპირისპირდება აშშ-ს ნაკრების დეტროიტელ მწვრთნელ ლარი ბრაუნს, რომელმაც კუბანისთვის მოთამაშეთა ნაკრებებში გაშვების აუცილებლობაში დარწმუნება სცადა. „მსოფლიოს ჩემპიონატები, ოლიმპიადები და საერთოდ სანაკრებო კალათბურთი, აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ ევროპელ და აზიელ ნიჭიერ მოთამაშეებს ნბაში გზა გაეხსნათ — ამბობს ქრაუნი — წინააღმდეგ

მარკ კუბანი ჩვეულად აბობოქრდა

შემთხვევაში ნბა ვერ მიიღებს შევსებას სხვა კონტინენტებიდან. ბატონი კუბანის გუნდშიც არაერთი არაამერიკელი თამაშობს. როგორ გგონიათ, სანაკრებო კალათბურთის არარსებობის შემთხვევაში ჩვენთან ამდენი კარგი უცხოელი ითამაშებდა?“

კუბანი კი არ აღიარებს ამ არგუმენტებს — „ბრაუნი თავისი პოზიციიდან ლაპარაკობს. ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ის სხვა აზრისა იქონებოდა, დანაკარგი მის ჯიბეს რომ შეხებოდა.“

ერთი სიტყვით, ეს თემა ისევ აქტუალურია და მანამ იქნება, სანამ ნბა-ში არაამერიკელი ლეგიონერები ითამაშებენ. „კუბანიზმის“ საფრთხე გარკვეულწილად საქართველოსაც ემუქრება. მართალია, ჩვენი ნბა-ელები ფაჩულია, სტეფანია და ცქიტიშვილი ნოვიცკივით და ნეშივით ძვირფასი მოთამაშეები არ არიან, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, მათი კლუბებიც გაჯიუტდნენ, როცა ამ ბიჭებს ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სამშობლოში იხმობენ. აინტერესებს კიკი ვანდევეიჯს ლუქსემბურგის და ფინეთის საკითხი? ნაკლებსავარაუდოა.

კოტე ყორშია

ავტორბოლა



შეუწყვილებენ ჯორჯო პანტანოს (მარცხნივ) ნიკ ჰაიდფელდს?

ამ ჯორდანს რას გაუგებ

მეფორმულეებმა მორიგი სატესტო კვირეული მოილიეს. ზოგი თბილი იტალიისა და ესპანეთის ტრეკებზე ვარჯიშობდა, ზოგიც ბრიტანულ „სილვერსტოუნზე“.

როგორც იქნა, გულდამშვიდებული მიუჯდა „ჯორდანის“ საჭეს ნიკ ჰაიდფელდი. 26 წლის გერმანელს ედი ჯორდანის გუნდთან წინასწარი სიტყვიერი კონტრაქტი კი ჰქონდა, მაგრამ ირლანდიელი ბოსი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა, რადგან თადარიგში სხვებიც ჰყავდა — იოს ფერსტაპენი, რალფ ფირმენი, ალან მაკნიში. გაქნილ შეფს სურდა, თავის ბოლიდში ის პილოტი ჩაესვა, ვისი მეცენატიც მეტ ფულს გადაიხდიდა. საბოლოოდ არჩევანი ჰაიდფელდზე შეჩერდა. საკონტრაქტო დეტალები არ გაცხადებულა, თუმც ჯორდანის თქმით, გადამწყვეტი ნიკის ნიჭი და გამოცდილება იყო. იგი კონკურენტებზე სწრაფი და შედეგიანია.

მეორე ვაკანტურ ადგილზე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა ფერსტაპენი, რომელსაც შეძლებული ფირმა „ტრასტი“ სპონსორობს. ტრასტელები 31 წლის ჰოლანდიელისთვის „ჯორდანში“ ადგილის საყიდლად ათ მილიონ დოლარს ჩამოდიოდნენ და საქმეც თითქოს გაჩარხული ჩანდა. ედის მანქანებს „ტრასტის“ ლოგოებიც კი მიატყეპეს. მაგრამ მხარეებს შორის ორრაუნდიანი, მოლაპარაკება ფუჭად დასრულდა. ამბობენ, ფერსტაპენმა წლიური სამი მილიონი ჯამაგირი მოითხოვა და სწორედ ეს თანხა გახდა განხეთქილების მიზეზიო.

ეგოცენტრულ კაცად ცნობილ ედი ჯორდანს კი ახლა თითქოს აღარც მაკნიში და ფირმენი მოსწონს და 25 წლის იტალიელ ჯორჯო პანტანოს დაადგა თვალი. გერმანულ F3-ის 2000 წლის გამარჯვებულ და ფორმულა 3000-ის შარშანწინდელ ვიცე-ჩემპიონსაც ჰყავს სოლიდური მეფულე მხარდამჭერები, რომლებსაც არ გაუჭირდებათ საკომპენსაციო ხუთი მილიონის გადახდა. პანტანოს საკითხი ამ დღეებში ესპანეთში, ხერეს დე ლა ფრონტერას ტრასაზე ტესტების შემდეგ გაირკვევა.

„ჯორდანი“ სამეფო რბოლების ათ საჯინიბოდან ერთადერთია, ჯერაც რომ ვერ დაუდგენია შემადგენლობა. მსოფლიოს 55-ე საფორმულო ჩემპიონატის დაწყებამდე კი თვეზე ნაკლებია დარჩენილი.

გია ახალაძე

ოლიმპიზმი

დამიბრუნეთ ჩემი მექრთამე მამიკო!
კიმ იუნ იონის გოგომ ჟაკ როგზე გაიწია

კორუფციაში მხილებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კორეელი ვიცე-პრეზიდენტის კიმ იუნ იონის ქალიშვილმა ჰელენ კიმმა ღია წერილით მიმართა ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტს ბელგიელ დოქტორ ჟაკ როგს. სოკ-ის ყოფილი დიდმოხელის ქალიშვილი მთავარ ოლიმპიურ ჩინოვნიკს ადანაშაულებს მამამისის დაპატიმრებაში, რაც ბელგიელის მხრიდან პირადი ანგარიშსწორების შედეგი იყო. თავის წერილში ჰელენ კიმი მამამისის წინააღმდეგ ამგვარ მოპყრობას „უკანონოსა და არასამართლებრივს“ უწოდებს.

როგორც ვიუწყებოდით, კიმ იუნ იონი 27 იანვარს დააპატიმრეს როგორც კორეის სპორტული ორგანიზაციების კუთვნილი რამდენიმე მილიონი დოლარის მიმთვისებელი. აგრეთვე მას ბრალდებად წაუყენეს კორეის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაწევრიანებისთვის ორი ჩინოვნიკისგან ქრთამის გამოძალვა.

„თქვენ ხართ კორეის მიღმა ის პიროვნება, რომელიც დიდ უფლებამოსილებას ფლობს იმისთვის, რათა გამოასწოროს თქვენივე გამოისობით განხორციელებული უსამართლობა — წერს ჰელენ კიმი — მე მოგმართავთ პირადად თქვენ, რათა დაუყოვნებლივ აღუდგინოთ მამაჩემს სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის ყველა უფლებამოსილება.“

ჰელენ კიმმა აგრეთვე განაცხადა, რომ ჩემს წერილზე პასუხი ჯერ არ მიმიღიაო. მისი თქმით, ჰელენ კიმი ცდილობდა ჟაკ როგის ოფისთან ტელეფონით დაკავშირებას, მაგრამ უშედეგოდ.

ავთანდილ ჭყვიშელი

REUTERS კვიპროსიდან

სენტ ლორენსის წყალზე

კვებეკის ახლოს გახურებულა 50-ე ზამთრის კარნავალი, რომლის ერთ-ერთი გამოცდა ყინულით მოფენილ სენტ ლორენსის მდინარეზე კანოეებით შეჯიბრია. ყინვა 15 გრადუსია, ყინული უტეხი. შეჯიბრს ალქს ჰარვის „ვოლვოს“ ნავი ლიდერობს.

REUTERS ლონდონიდან

ბირთვი და ქალი

ქალი კი არა, ქანდაკება ყოფილა, თანაც ანტიკური. სამი წელიწადია, ბრიტი ბირთვის მკვრელი დენის ლუისი დიდ თამაშებს არ გაყარებია. ახლა კი ჩაერთო შეფილდში მიმდინარე მსოფლიოს ღია შეჯიბრში და მეორე ადგილზეც გავიდა.

REUTERS ზეკინიდან

ჩინეთი ჩაება

ეს ყველაფერი ანალიზებია. რა თქმა უნდა, სპორტსმენებისა. დოპინგის ხმარებაში არაერთგზის მხილებული ჩინური სპორტის მაძები დიდი ამბით შეუერთდნენ ანტისადოპინგო მოძრაობას და ახალდაარსებულ სადოპინგო ცენტრშიც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. შარშან ჩინელი ძალოსანი დოპინგში ამხილეს ვანკუვერის მსოფლიო ჩემპიონატზე და დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს.



REUTERS ზეკინიდან

REUTERS ჰონოლულუდან

შენკენ ვართ

ჰონოლულუზე, „ალოა სტადიუმზე“ 25-ე „ჰრო ბოული“ მიმდინარეობს. არ იქნება, „ჰრო-ბოულმა“ ბოლო „სუპერბოული“ არ გაიხსენოს, რომლის შესვენებაზეც მომღერალმა ჯასტინ ტიმბერლეიკმა საკინძე ჩამოგლიჯა ჯანეტ ჯეკსონს და იმანაც, ცალძუძუგადმოგდებულმა განაგრძო სიმღერა, რის გამოც გვარიანი კრიტიკა ერგო. თუმც ჰონოლულუს ლაღი ხალხი მხარს უჭერს ამ ჩამოგლეჯას, ჯანეტ, შენკენ ვართო და ამის დასამტკიცებლად ქალის ლინჟერ-საცვლეულიც მოუტანიათ სტადიონზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge